# ძვირფასო მკითხველო! 1 სექტემბრამდე ჩვენი გაზეთი გამოვა კვირაში სამჯერ – სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.


# საქართველოს რესპუბლიკა




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუილებით და ჭორებით ბრძოლის გაწევა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.


სამშაბათი, 7 აგვისტო. 2018 წ. №158 (8559) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.


## 2008-2018 – ჩვენთვის – დაქცევა, ევროპისთვის – თამაში!



## ცხელი ზაფხულის ომი, რომელმაც რუსეთი ცივ ომში დააბრუნა

3

## „რუსეთი აღმართავს ბარიერებს...“

### აშშ-ის საელჩოს მორიგი განცხადება

აშშ-ის საელჩო საქართველოში, რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციასთან დაკავშირებით, მორიგ განცხადებას ავრცელებს:

**„საქართველოში შემოჭრის შემდეგ რუსეთი ოკუპირებულ ტერიტორიებზე ბორდერიზაციის პოლიტიკას განაგრძობს. რუსეთი აღმართავს ბარიერებს, რომელსაც უარყოფითი გავლენა აქვს მავთულხლართის ორივე მხარეზე მყოფი ხალხის ცხოვრებაზე. ისინი აშორებენ ოჯახებს, მეზობლებს, გზას უჭრიან ადგილობრივ მოსახლეობას სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებამდე და უფრო დიდი რისკის ქვეშ აყენებენ საზოგადოების მოწყვლად ნაწილს, მათ შორის სამედიცინო დახმარების საჭიროების მქონე ადამიანებს.**

**ასეთი ბორდერიზაცია შეუთავსებელია საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობასთან. ჩვენ მუდმივად მოვუწოდებთ რუსეთს, როგორც კონფლიქტის მხარეს, მოხსნას ბარიერები და შეასრულოს 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.**

**ამ ვალდებულებებს შორისაა ძალების გაყვანა კონფლიქტამდე არსებულ პოზიციებზე და ჰუმანიტარული დახმარებისათვის შეუფერხებელი წვდომის უზრუნველყოფა“,** – ნათქვამია აშშ-ის საელჩოს განცხადებაში.

## 100 წლის გაზეთი თქვენს დახმარებას ითხოვს

დემოკრატიულ საქართველოსთან ერთად დაბადებულ, დღეს 100 წლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ ფინანსურად უკიდურესად გაუჭირდა. როგორც იტყვიან, თითქმის „უფსკრულის პირას“ დგას. სწორედ ამიტომ ითხოვს გაზეთი მამულიშვილთა უანგარო მხარში დგომას, ხელის გამართვას.

ძვირფასო მეგობრებო, გაზეთის დახმარების მსურველნო, ნებისმიერი ოდენობის თანხა შეგიძლიათ, ჩაურიცხოთ რედაქციას შემდეგ ანგარიშზე: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“).

## სალომე ზურაბიშვილი საპრეზიდენტო მარათონში ერთვება

პარლამენტის დამოუკიდებელი მაჟორიტარი დეპუტატი სალომე ზურაბიშვილი პრეზიდენტობისთვის იბრძოლებს. ოფიციალური განცხადება სალომე ზურაბიშვილმა გუშინ გააკეთა და ამით გავრცელებული ინფორმაციაც დაადასტურა.

**„მინდა ამ ქვეყნის სტაბილურობა. ეყოფა ამ ქვეყანას, რაც გაიარა, ომი. ეყოფა ამ ქვეყანას შიდა კონფლიქტები და ტერიტორიების დაკარგვა“,** – აღნიშნა ზურაბიშვილმა.



**სალომე ზურაბიშვილი დაიბადა 1952 წლის 18 მარტს პარიზში, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მოღვაწის, წლების მანძილზე საფრანგეთის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარის ლევან ზურაბიშვილის ოჯახში.**

**იგი არის ქართველი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის შვილიშვილის შვილი.**

**სალომე ზურაბიშვილმა დიპლომატიური კარიერა დაიწყო 1974 წელს რომში (კირინალი), საფრანგეთის საელჩოს მესამე მდივნის თანამდებობით. 1977-1980 წლებში მუშაობდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში (ნიუ-იორკი), საფრანგეთის მუდმივმოქმედი მისია, მეორე მდივანი, 1980-1984 წლებში საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ანალიზისა და პროგნოზის ცენტრშია.**

**1984-1988 – ვაშინგტონი, საფრანგეთის საელჩო, პირველი მდივანია.**

**1988-1989 – ვენა,ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის კონფერენცია, პირველი მდივანია.**

**1989-1992 – ნჯამენა (ჩადი) საფრანგეთის საელჩო, მეორე მრჩეველია.**

**1992-1993 – ბრიუსელი, ევროატლანტიკურ საბჭოში საფრანგეთის მუდმივმოქმედი მისია, პირველი მდივანია.**

**1993-1996 – ბრიუსელი, დასავლეთ ევროპის კავშირში საფრანგეთის მუდმივი წარმომადგენლობა, წარმომადგენლის მოადგილეა.**

**1996-1998 – პარიზი, საგარეო საქმეთა მინისტრის კაბინეტის მრჩეველია.**

**1997-1998 – პარიზი, საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციაშია.**

**1998-2001 – პარიზი, საგარეო საქმეთა სამინისტროს სტრატეგიის საკითხთა, უშიშროებისა და განათლების სამმართველოშია.**

**2001-2003 – პარიზი, ეროვნული თავდაცვის გენერალური სამდივნოს საერთაშორისო და სტრატეგიულ საკითხთა ხელმძღვანელია.**

**2003-2004 – საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოშია.**

**2004-2005 – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრია.**

**2005 – „სალომე ზურაბიშვილის საზოგადოებრივი მოძრაობის“ ლიდერია.**

**2006 – პოლიტიკური პარტია„საქართველოს გზის“ ლიდერია.**

**2006- საფრანგეთის პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტი, პროფესორია.**

**2010 – გაეროს უშიშროების საბჭოს სანქციების კომიტეტის ირანის ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელია.**

**სალომე ზურაბიშვილი როგორც საგარეო საქმეთა მინისტრი იყო მთავარი მომლაპარაკებელი, რომელმაც შეთანხმებას მიაღწია საქართველოდან რუსული ბაზების გაყვანის შესახებ. ხელშეკრულებაზე ხელისმომწერი პირი რუსეთის მხრიდან იყო რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი (2005 წლის 19 მაისი).**

**სალომე ზურაბიშვილმა მინისტრობის დროს შექმნა „საქართველოს მეგობარი სახელმწიფოების ახალი ჯგუფი, რომლის წევრებიც არიან შემდეგი სახელმწიფოები: უკრაინა, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, რუმინეთი, ბულგარეთი,ჩეხეთის რესპუბლიკა და პოლონეთი, რომლებიც არიან დამხმარე სახელმწიფოები ნატოსა და ევროკავშირში გაწევრების საკითხში.**

# საქართველოს გაწევრიანება ნატოში კატასტროფის ტოლფასია



ამის შესახებ განცხადება რუსეთის პრემიერ-მინისტრმა დიმიტრი მედვედევმა გააკეთა.

**„ამან შესაძლოა, მოახდინოს საშინელი კონფლიქტის პროვოცირება. გაუგებარია, ვის რაში უნდა ეს“,** — განაცხადა მან რადიოსადგურ „კომერსანტთან“ მიცემულ ინტერვიუში.

მანამდე, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ მოსკოვი უარყოფითადაა განწყობილი ნატოს გაფართოებაზე. კერძოდ, მასში საქართველოსა და უკრაინის შესვლის საკითხის მიმართ.

# „მოსკოვმა უკან უნდა წაიღოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარების გადაწყვეტილება“

**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიიდან 10 წლისთავზე Twitter-ის გვერდზე სპეციალურ განცხადებას ავრცელებს.** განცხადებაში ნათქვამია, რომ რუსეთის აგრესიისა და საქართველოს რეგიონების ოკუპაციის 10-წლიანი პერიოდის განმავლობაში საქართველომ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებისკენ ურყევი სწრაფვა აჩვენა.



**„რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიისა და ორი რეგიონის ოკუპაციის 10-წლიანი პერიოდის განმავლობაში, ჩვენ ვაჩვენეთ ჩვენი ურყევი სწრაფვა კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებისკენ. ჩვენ უნდა გავერთიანდეთ და ერთიანი გზავნილით მივმართოთ რუსეთს, რომ უნდა შეაჩეროს აგრესიული პოლიტიკა და პატივისცემით მოეკიდოს საქართველოს სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას“,** — წერს ზალკალიანი.

Twitter-ის გზავნილს თან ახლავს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ვიდეომიმართვაც:

**„რუსეთი აგრძელებს საქართველოს რეგიონების ოკუპაციას. ეს ხდება საერთაშორისო კანონმდებლობის უხეში დარღვევითა და ევროკავშირის შუამავლობით გაფორმებული ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების იგნორირებით. გზა მდგრადი და გრძელვადიანი მშვიდობისკენ სწორედ ამ შეთანხმების სრულად ამოქმედებაზე გადის. რუსეთის შენაერთების გაყვანა გადამწყვეტია კონფლიქტის ტრანსფორმაციისთვის. ოკუპირებულ რეგიონებში უსაფრთხოების და ადამიანის უფლებებს კუთხით შექმნილი სიტუაცია კვლავ შემაშფოთებელი რჩება. ახალი სამშვიდობო ინიციატივა „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც ჩვენმა მთავრობამ დაყოფილი ხალხის შერიგებისა და ინტეგრაციის პროცესის გააქტიურების მიზნით გადადგა. მნიშვნელოვანია, შევინარჩუნოთ ერთობა და რუსეთს მოვთხოვოთ აგრესიული პოლიტიკის შეჩერება, ასევე მოსკოვმა უკან უნდა წაიღოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარების გადაწყვეტილება და პატივი სცეს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში“,** — აცხადებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ვიდეომიმართვაში.

# საქართველო-ვატიკანი

**6 აგვისტოს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა წმინდა საყდრის ნუნციო საქართველოში მონსინიორ ჟოზე აველინო ბეტანკური მიიღო.**

შეხვედრაზე, რომელიც გაცნობით ხასიათს ატარებდა, მხარეებმა საქართველოსა და ვატიკანის ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების აქტუალური საკითხები განიხილეს. ნუნციოს განცხადებით, საქართველოსა და წმინდა საყდარს ისტორიული ურთიერთობები აკავშირებთ, რაც გულთბილობითა და პატივისცემით ხასიათდება.

საქართველოსა და წმინდა საყდარს შორის ჩამოყალიბებული მჭიდრო, მეგობრული და ნაყოფიერი თანამშრომლობის კონტექსტში ხაზი გაესვა ბოლო წლებში ორმხრივი ვიზიტების მაღალ დინამიკას და მათი შემდგომი ურთიერთგაცვლის აუცილებლობას.

დავით ზალკალიანმა მონსინიორ ბეტანკურს გააცნო აფხაზეთისა და ცხინვალის ოკუპირებულ რეგიონებში უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული კუთხით არსებული ვითარება და მადლობა გადაუხადა წმინდა საყდრის მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის, ასევე არაღიარების პოლიტიკის მტკიცე მხარდაჭერისათვის.

# ფინანსთა მინისტრი ნიდერლანდების სამეფოს ელჩს შეხვდა

**საქართველოსა და ნიდერლანდების სამეფოს შორის სავაჭრო-ეკონომიკურ სფეროში ორმხრივი პარტნიორობის საკითხები განიხილეს ფინანსთა მინისტრმა ივანე მაჭავარიანმა და ნიდერლანდების სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში იოჰანეს დუმამ**



**გუშინ ფინანსთა სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე.**

როგორც ფინანსთა მინისტრმა აღნიშნა, საქართველო აფასებს ნიდერლანდების სამეფოს იმ პოლიტიკურ მხარდაჭერას, რასაც ნიდერლანდების სამეფო ორმხრივ თუ საერთაშორისო ფორმატებში გამოხატავს. მხარეებმა კმაყოფილება გამოთქვეს იმ პოზიტიური დინამიკით, რომელიც ორ ქვეყანას შორის ვითარდება ისეთ სფეროებში, როგორიცაა საჯარო ფინანსების მართვა, საფინანსო სექტორი, გარემოს დაცვა, სოფლის მეურნეობა, ინფრასტრუქტურა.

შეხვედრაზე ფინანსთა მინისტრმა, ასევე, ხაზი გაუსვა ადამიანური რესურსების პოტენციალის გაუმჯობესების, საგადასახადო ადმინისტრირების სრულყოფის, სახელმწიფოს შიდა ფინანსური კონტროლის საკითხებში ფინანსთა სამინისტროსთვის გაწეული დახმარების მნიშვნელობას.

# გვეშველა, ახლა მართლა გვეყოლება ნამდვილი პრეზიდენტი!

„ლეიბორისტული პარტიის“ ახალგაზრდული ფრთის წევრებმა ცესკოში შალვა ნათელაშვილი პრეზიდენტობის კანდიდატად დაარეგისტრირეს.



**„დღეს შემოვიტანეთ ყველა საჭირო დოკუმენტაცია ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში იმასთან დაკავშირებით, რომ შალვა ნათელაშვილი იყოს უფრო ოფიციალურად საპრეზიდენტო კანდიდატი. მას აქვს მხარდაჭერა ახალგაზრდებისგან, ასევე სხვა საზოგადოებრივი ფენებისგან, რადგან ყველას გვაქვს გააზრებული, რომ ის არის ერთადერთი ადამიანი, ვისაც დღეს შეუძლია დაასრულოს და წერტილი დაუსვას ივანიშვილის ოლიგარქიულ სისტემას“,** — განაცხადა „ლეიბორისტული პარტიის“ ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენელმა მიხეილ ქუმსიშვილმა.

# დაბოლილი პოლიტიკოსის ნააზრევი

**საკონსტიტუციო სასამართლომ თქვა, რომ ადამიანის თავისუფლების ნაწილი არის ის, რომ თუ ადამიანი თავის ქმედებით ზიანს არ აყენებს სხვას, სახელმწიფის უფლება არ აქვს ჩაერიოს და რაღაც ქმედება აუკრძალოს,** — აცხადებს „გირჩის“ ლიდერი მარიხუანის მოხმარების ლეგალიზებასთან დაკავშირებით. ზურა ჯაფარიძე აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პატრიარქის მოსაზრებას ეხმაურება და ამბობს, რომ პატრიარქს აქვს უფლება, ჰქონდეს ის პოზიცია, რომელიც დააფიქსირა



**„მგონია, რომ ლიბერალურ-დემოკრატიულ სახელმწიფოს ვაშენებთ. ეს გულისხმობს იმას, რომ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მოსახლეობის 90%-ს შეიძლება დიდი სურვილი ჰქონდეს, მე ფეხებით ჩამომკიდონ ხეზე და ისე მომკლან, მათ არ აქვთ ამის გაკეთების უფლება. ანუ, არსებობს რაღაც უფლებები, რომლებიც დაცულია, მიუხედავად იმისა, თუ რას ფიქრობს უმრავლესობა. ჩემი აზრით, ასეთია ადამიანის უფლებაც. საკონსტიტუციო სასამართლომ სწორედ ეს თქვა, რომ ადამიანის უფლება არის დაცული, ადამიანის თავისუფლების ნაწილი არის ის, რომ თუ ადამიანი თავის ქმედებით ზიანს არ აყენებს სხვას, სახელმწიფის უფლება არ აქვს ჩაერიოს და რაღაც ქმედება აუკრძალოს. ეს თქვა საკონსტიტუციომ და ამ პრინციპზე დგას დასავლეთის ცივილიზაცია. რაც შეეხება პატრიარქის განცხადებას, პატრიარქს შეუძლია, გააკეთოს ნებისმიერი განცხადება. ცხადია, პატრიარქს და საპატრიარქოსაც შეიძლება ჰქონდეთ საკუთარი პოზიცია ნებისმიერ საკითხთან მიმართებაში, მაგრამ მე, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეს და პოლიტიკით დაკავებულ ადამიანს, მაქვს უფლება, საჯაროდ გავცე მას პასუხი, თუ ის საჯაროდ შემოდის ისეთ თემებში, რომელიც უშუალოდ არ არის ეკლესიის საქმე“,** — განაცხადა ჯაფარიძემ.

# თბილისს მეგობარი ქვეყნებიდან მაღალი რანგის სტუმრები ეწვევიან

**2018 წლის 6-7 აგვისტოს, რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომიდან 10 წლისთავზე, თბილისს ეწვევიან პოლონეთის (იაცეკ ჩაპუტოვიჩი), ლიეტუვის (ლინას ანტანას ლინკევიჩიუსი), ლატვიის (ედგარს რინკევიჩსი) საგარეო საქმეთა მინისტრები და უკრაინის (პავლო როზენკო) ვიცე-პრემიერ-მინისტრი, რაც მათი მხრიდან გახლავთ საქართველოს მიმართ მხარდაჭერისა და მეგობრობის გამოხატულება.**

ვიზიტის ფარგლებში სტუმრები მონაწილეობას მიიღებენ საგარეო საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით დაგეგმილ მრგვალი მაგიდის ფორმატის შეხვედრაში — **„მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის — 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომიდან 10 წლის შემდეგ“.**

ვიზიტის ფარგლებში სტუმრები მოინახულებენ საოკუპაციო ხაზს, პატივს მიაგებენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა ხსოვნას და შეხვედრებს გამართავენ საქართველოს პრეზიდენტთან, საქართველოს პრემიერ-მინისტრთან და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან. საქართველო-რუსეთის 2008 წლის ომის 10 წლისთავზე მეგობარი ქვეყნების წარმომადგენელთა ვიზიტი ლიეტუვის და პოლონეთის ერთობლივი ინიციატივით ხორციელდება.

# საბერძნეთი ხანძრის დროს დახმარების შეთავაზებისთვის საქართველოს მადლობას უხდის

მადლობის წერილი საბერძნეთის სამოქალაქო უსაფრთხოების სამსახურმა საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახელზე გამოაგზავნა.

**„აღნიშნული სოლიდარობა გამოიხატა ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან რთულ პერიოდში, როდესაც ადამიანურმა მსხვერპლმა და მატერიალური ზიანის ფარგლებმა რთული გახადა, გავმკლავებოდით სიტუაციას. ყოველთვის სანუგეშო და გამამხნევებელია ჩვენთვის, ვიცოდეთ, რომ თქვენ თანაუგრძნობთ ყველა იმ ადამიანს, რომელიც დაზარალდა აღნიშნული ბუნებრივი კატასტროფის შედეგად, რომელიც თავს დაატყდა ჩვენს ქვეყანას. ასეთი ჟესტები გვაძლევს საჭირო გამბედაობასა და სურვილს, გავაგრძელოთ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისა და აღდგენის რთული ამოცანები. მსურს, მადლობა გადაგიხადოთ თქვენი მხარდაჭერის გამო. მწამს, რომ ჩვენ ქვეყნებს შორის სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ბრწყინვალე თანამშრომლობა ანალოგიურად გაგრძელდება მომავალშიც“,** — ნათქვამია საბერძნეთის სამოქალაქო უსაფრთხოების გენერალური მდივნის იოანე კაპაკისის წერილში.



# ცხელი ზაფხულის ომი, რომელმაც რუსეთი ცივ ომში დააბრუნა



**ბრიტანული გამოცემის, „The New European“-ის მიერ გამოქვეყნებული სტატია ეძღვნება საქართველო-რუსეთის 2008 წლის ომის მე-10 წლისთავს. მასში საუბარია საინფორმაციო ომის მიმდინარეობაზე, დასავლელი პოლიტიკოსებისა და მსოფლიო მასმედიის რეაგირებაზე, რუსეთის ჯარების გაყვანაზე სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრების მიღმა დაკავებული ტერიტორიიდან, ქართული მხარის შეცდომებზე და ა.შ.**

**პუბლიკაციის ავტორი ჯეიმს როჯერსი თვითონ არის ათი წლის წინ მომხდარი ომის თვითმხილველი. საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გვთავაზობს სტატიის ქართულენოვან ვერსიას.**

2008 წლის ზაფხულამდე სამხრეთ ოსეთი საერთაშორისო ახალი ამბების ნაკადში იშვიათად თუ გამოჩნდებოდა – მანამ, სანამ რამდენიმეკვირიანი გამწვავებული სიტუაციის შემდეგ, 7-8 აგვისტოს ღამით, საქართველოს არმიამ სამხრეთ ოსეთის მთავარ ქალაქ ცხინვალზე შეტევა არ დაიწყო.

საქართველოს ხელისუფლება სამხრეთ ოსეთს და მასთან ერთად კიდევ ერთ რეგიონს, აფხაზეთს, 1990-იანი წლების დასაწყისიდან, ანუ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ვერ აკონტროლებდა. ორივე რეგიონი რუსეთთან იყო დაახლოებული და მოსკოვისგან ფინანსურ დახმარებას იღებდა. ეს ვითარება მიუღებელი იყო იმდროინდელი საქართველოს ენერგიული, პროდასავლური პოზიციის მქონე და მკვეთრად პროვაშინგტონური მთავრობისათვის. 2003 წლის ბოლოს მომხდარი „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ პრეზიდენტად არჩეული და ხელისუფლებაში მოსული მიხეილ სააკაშვილი ცდილობდა, მთელი ქვეყანა გაეკონტროლებინა და საქართველო გაეერთიანებინა. 2008 წლის ზაფხულისთვის მისმა ასეთმა სწრაფვამ ქართულ სამთავრობო ჯარებსა და სეპარატისტებს შორის დაპირისპირება გაამწვავა, დაიწყო სროლები. იმ ხანებში სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე რუსეთის შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფიც იყო დისლოცირებული, ოფიციალურად, სამშვიდობო ძალების სახით. ოსი სეპარატისტები რუსების იქ ყოფნას იწონებდნენ, ქართველები კი რუს სამხედროებს უფრო მეტად ოკუპანტებად განიხილავდნენ.

2008 წლის ზაფხულის მძიმე დღეებში კავკასიის მთებში შეყუჟულ ამ პატარა რეგიონში შექმნილი სიტუაცია თითქოსდა საერთაშორისო საზოგადოებისთვის მაინცდამაინც დიდად სადარდებელი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ სინამდვილეში ცხინვალის ამბები მსოფლიოს გლობალური მნიშვნელობის პრობლემებს უქადდა: პირველად 21-ე საუკუნეში, თანამედროვე ევროპისთვის კონფრონტაციული აღმოსავლეთი ფლანგი ყალიბდებოდა.

საქართველოს რეფორმისტულმა მთავრობამ არმია საკუთარი გეგმების რეალიზაციის იარაღად გამოიყენა, რათა მსოფლიოში თავისი ადგილი მოეპოვებინა. ქართველი ჯარისკაცები, ბრიტანელ და ამერიკელ სამხედროებთან ერთად, ერაყში მსახურობდნენ, სადაც ამერიკა 2003 წელს შეიჭრა. საინტერესოა, რომ თბილისის აეროპორტიდან ქალაქის ცენტრისაკენ მიმავალ გზას აშშ-ის მაშინდელი პრეზიდენტის ჯორჯ ბუშ-უმცროსის სახელი დაერქვა („ამ მხრივ საქართველო მსოფლიოს იშვიათ ქვეყნებს მიეკუთვნება, რომლებმაც მსგავსი რამ გააკეთესო“, მითხრა ერთ-ერთმა დასავლელმა დიპლომატმა 2006 წელს თბილისში ყოფნისას).

იმ დროს საქართველოს (მთავარ საგარეოპოლიტიკურ) მიზანს ნატოში გაწევრება წარმოადგენდა. ჩრდილოელი მეზობლისათვის – რუსეთისთვის კი საქართველოს სწრაფვა ალიანსისაკენ ერთგვარი წითელი ხაზის გადაკვეთის მცდელობას ნიშნავდა. დასავლელი პოლიტიკოსები კი მოსკოვის მიერ გამოხატულ შეშფოთებას ყურადღებას არ აქცევდნენ და ნატოს ბლოკის აღმოსავლეთით გაფართოების კურსს აგრძელებდნენ, რომელიც „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ დაიწყო. ნატოში ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიც გაწევრიანდნენ. რუსეთი თავს ალყაში გრძნობდა. 2008 წელს კი რუსეთი ომში იმიტომ ჩაება, რომ ნატოს (აღმოსავლეთით) გაფართოების პროცესი შეეჩერებინა. იმ პერიოდში რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი იყო, თუმცა ქვეყნის ნამდვილი ლიდერის, უზენაესი ხელმძღვანელის როლს მაინც ვლადიმერ პუტინი ასრულებდა, რომელმაც პრემიერ-მინისტრის პოსტი სამი თვით ადრე დაიკავა.

საქართველოს არმიის შეტევა ცხინვალზე თავდაპირველად წარმატებული იყო, მაგრამ რუსეთის სწრაფმა ჩარევამ გამანადგურებელი ეფექტი გამოიღო. ქართველი ჯარისკაცები იძულებული გახდნენ, უკან დაეხიათ და პოზიციები რუსეთის არმიის ქვედანაყოფებისთვის დაეთმოთ. იყო ისეთი ვარაუდებიც, რომ მოსკოვის ჯარებს შეეძლოთ თბილისის მთლიანად დაკავება და მიხეილ სააკაშვილის დამხობა.

**დღეს, სამხრეთ ოსეთში მომხდარი ომიდან ათი წლის შემდეგ, საქართველოსთვის ნატოში გაწევრების პერსპექტივა პრაქტიკულად არ არსებობს. ვერც ერთი იმ ორი ქვეყნიდან (საქართველო და უკრაინა), რომლებსაც იმ დროს ალიანსში გაწევრება აღუთქვეს, რუსეთის „წყალობით“, თავიანთ ტერიტორიას სრულად ვერ აკონტროლებს.**

დასავლელი პოლიტიკოსები სიტუაციაზე გავლენის მოხდენას შეეცადნენ. ამის გამო დიდი ბრიტანეთის მაშინდელ საგარეო საქმეთა მინისტრს დევიდ მილიბენდს რუსი კოლეგა სერგეი ლავროვისგან საქართველოს პრეზიდენტის მისამართით წარმოთქმული საკმაოდ არადიპლომატიური და უტაქტო შეფასების (ოთხასოიანი სკარბეზული სიტყვის – Fuck) მოსმენა მოუწია. რამდენიმე დღის შემდეგ კი ძალაში შევიდა ფრანგული სამშვიდობო გეგმა (იმ დროს საფრანგეთი ევროკავშირის თავმჯდომარე იყო) და სამხედრო მოქმედებები დამთავრდა.

ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების ერთ-ერთი მთავარი პირობა იყო რუსეთის ჯარების დაბრუნება სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვრებში. სწორედ ამ ფაქტის მოწმე გავხდი ოქტომბრის ერთ დილას.

მოსკოვს ეგონა, რომ რუსული მძიმე ტექნიკის გამოჩენა ბრძოლის ველზე ქართული ჯარების დაუყოვნებლივ უკანდახევას გამოიწვევდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა – ქართულმა არმიამ უფრო მეტ ხანს იბრძოლა, ვიდრე ამას დიდი მტერი ვარაუდობდა. თავის მხრივ, რუსეთმა ამ კონფლიქტით უდიდესი გამოცდილება მიიღო. რუსეთის მოქმედებით ჩამოყალიბდა მოსკოვის ისეთი სახე, რომელსაც საერთაშორისო მასმედია დღემდე იყენებს. რუსეთის მაშინდელმა ნაბიჯებმა ჩამოაყალიბა ევროპული პოზიციაც, რომელიც დღესაც არ შეცვლილა. ახლა ჩვენ სწორედ ასეთ ევროპაში ვცხოვრობთ.

როგორც ყველა თანამედროვე ომში, 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებების დროსაც მასმედიას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. მიხეილ სააკაშვილი, რომელიც თავისუფლად ფლობს ინგლისურ ენას, თითქმის მთელ დროს ტელეეთერში ატარებდა იმ დროს, როცა ქვეყანა ომის მდგომარეობაში იმყოფებოდა. იგი საერთაშორისო ახალი ამბების მთავარი გმირი იყო: ინტერვიუებს შეუსვენებლივ არიგებდა და ქვეყნის ინტერესებს იცავდა. თუმცა მან მაინც ვერ გათვალა – ალბათ, იმ იმედით, რომ აშშ-ის ადმინისტრაციასთან ახლო კავშირები მას რაიმეში დაეხმარებოდა და მხარდაჭერას მოუტანდა. მაგრამ ასე არ მოხდა, იგი შეცდა: ვაშინგტონმა ვერ გარისკა, კვლავ კონფრონტაცია დაეწყო რუსეთთან, რომელიც ცივი ომის დროს მტრად მიაჩნდა.

არადა, მტერი ბევრად ჩამოუვარდებოდა საქართველოს, საინფორმაციო მეტოქეობის თვალსაზრისით: იმ დროს ორივე მხარეს პიარისათვის დასავლური კომპანიები ჰყავდათ, მაგრამ, როგორც ჩანს, რუსებმა საინფორმაციო ომი ნაკლებად წარმატებულად წარმართეს. დღევანდელ კარგად ცნობილ საერთაშორისო ტელეარხ „რაშა თუდეი“-ს (RT – „რუსეთი დღეს“), იმ დროს კრემლი სერიოზულად არ მიიჩნევდა. მაგალითად, „რაშა თუდეი“ იძულებული გახდა, იმით დაკმაყოფილებულიყო, რომ „ბი-ბი-სი“-ში სერგეი ლავროვთან ჩემი ინტერვიუს რეტრანსლირება მოეხდინა.

ექვსი წლის შემდეგ სიტუაცია ბევრად შეიცვალა რუსეთის სასარგებლოდ: როცა უკრაინაში, ყირიმში, „პატარა მწვანე კაცუნების“ ტელეპიარი დაიწყო, შემდეგ თვით ყირიმის ანექსია მოხდა, ე.წ. რეფერენდუმის საფუძველზე. ამ დროს განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა სწორედ „რაშა თუდეის“ მეშვეობით განხორციელებულმა პროპაგანდამ.

დღეს, სამხრეთ ოსეთში მომხდარი ომიდან ათი წლის შემდეგ, საქართველოსთვის ნატოში გაწევრების პერსპექტივა, პრაქტიკულად, არ არსებობს. ვერც ერთი იმ ორი ქვეყნიდან (საქართველო და უკრაინა), რომლებსაც იმ დროს ალიანსში გაწევრება აღუთქვეს, რუსეთის „წყალობით“, თავიანთ ტერიტორიას სრულად ვერ აკონტროლებს.

ევროკავშირში რუსეთს „თაყვანისმცემლები“ ჰყავს: მაგალითად, იტალიის ახალი მთავრობის სახით, რომლის ვიცე-პრემიერმა მატეო სალვინმა ამ ცოტა ხნის წინათ ვლადიმერ პუტინის მოქმედება ასე შეაფასა: „ვფიქრობ, რუსეთის პრეზიდენტი ბევრ სასიკეთო საქმეს აკეთებს საკუთარი ხალხისათვის“.

იმ დღეს, როცა ჟურნალისტების ჯგუფი რუსეთის ჯარების გაყვანას თვალს ადევნებდა, ისინი ერთი ასეთი სცენის მოწმენი გახდნენ: რუსმა ოფიცერმა ერთ-ერთ რეპორტიორს მობილური ტელეფონი სთხოვა დასარეკად იმ მიზეზით, რომ მას ანგარიშზე საკმარისი თანხა არ გააჩნდა. დღეს მსგავს შემთხვევას ვერც კი წარმოიდგენ.

ავტომანქანა, რომელშიც ჩვენ ვისხედით, ბრეზენტით იყო დახურული და მხოლოდ უკანა, ზურგის მხარე ჰქონდა ღია იმ ადგილების ვიზუალურად ხედვისათვის, სადაც ის-ის იყო საბრძოლო მოქმედებები დასრულდა. არასასიამოვნო სუნი იდგა, ალბათ, გვამების. აქ ადამიანები „ცივი ომის“ შემდეგ იმ დროს დაიხოცნენ, როცა დასავლეთი და რუსეთი ერთმანეთთან დამეგობრებას ცდილობდა.



**ჯეიმს როჯერსი,**
**„THE NEW EUROPEAN“ (დიდი ბრიტანეთი)**


წელიწადი მეასე წელიწადი მეასე

საქართველოს რესპუბლიკა

ყოველდღიური გაზეთი

ოთხშაბათი, 25 ივლისი. 2018 წ. №148-149 (8549-8550), ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ფასი 50 თეთრი.

ასეთი არჩევანის წინაშე რომ დამაყენონ – მთავრობა თუ გაზეთები? – უყოყმანოდ მეორეს ავირჩევდი!

თომას ჯეფერსონი

გმადლობთ, მკითხველო!

# „საქართველოს რესპუბლიკამ“ 100 წელიწადს გადააბიჯა

## გულწრფელი მილოცვა და ერთი კოვზი კუპრი

**2018 წლის 25 ივლისს საქართველოს უხუცესმა გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“ გამოცემის მეასე წლის საიუბილეო თარიღი სპეციალური ნომრის გამოცემით აღნიშნა.**

ეს იყო და ეს.

ქვეყნის ისტორიის ეს მნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენს ხელისუფლებაში არავის გახსენებია: არსად არანაირად არ აღუნიშნავს, მისალოცი წერილითაც არ მიუმართავს რედაქციისთვის. გეგონება, 100-წლოვანი გაზეთებით იყოს დახუნძლული ბეჭდური სიტყვა საქართველოსი.

სასიამოვნო გამონაკლისი იყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ გაგზავნილი მისალოცი ადრესი.

გაატარეს!

უარესსაც ვიტყოდი, თუმცა **იმაზე უარესი რა უნდა იყოს, როცა სახელმწიფოს მეთაურნი, რომლებიც დემოკრატიის მზეს ფიცულობენ, სიტყვის თავისუფლებაზე პირჯვარს ისახავენ და ენდიაის დასკვნები გულის ფიცარზე აწერიათ, ქართულ გაზეთებს არ კითხულობენ.**

საკაშვილივით.

თვითკმარნი ხელისუფალნი თავიანთი ოპოზიციითურთ.

და ასეთ ანაღვლე რეალობაში მყოფი გაზეთის მთავარი რედაქტორი, დახვეწილი ინტელიგენტი **სპარტაკ ქობულია** იძულებულია, საიუბილეო ნომრის გამხსნელ წერილში ხელი გაიწვდინოს გაზეთის გადასარჩენად და საზოგადოებას შემწეობა სთხოვოს: **„საქართველოს რესპუბლიკა“ მუდამ ღირსი იყო საზოგადოებისგან (ხელისუფლებისგან) მეტი ყურადღებისა.გაზეთის მცირე ტირაჟი და მიზერული ფასი მხოლოდ სტამბის ხარჯებს ვერ ფარავს“.**

რედაქციის ჟურნალისტები და თანამშრომლები, ფაქტობრივად, საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობენ.

მხოლოდ ენთუზიაზმზე.

უსახსრობის გამო გაზეთის დახურვის საშიშროება გარდაუვალ პერსპექტივად ისახება, რაც მორიგ სირცხვილად ჩაიწერება ჩვენი სამოქალაქო საზოგადოების ისტორიაში.

საიუბილეო ნომრის პირველ გვერდზე თეთრით შავზე დაბეჭდილია: **„დახმარების მსურველებს შეგიძლიათ, ნებისმიერი ოდენობის თანხა ჩაგვირიცხოთ შემდეგ ანგარიშზე: №GE19TB7601536020100009 (შპს „ახალი საუკუნე“)“.**

## ღირსების რეტროსპექტივა

საიუბილეო ნომერში გამოქვეყნებული წერილები, რომლებიც რეტროსპექტივის პრინციპით არის შერჩეული, კიდევ ერთხელ და უდავოდ ადასტურებს ქართული საგაზეთო პუბლიცისტიკის უმაღლეს დონეს, მრავალფეროვნებას, დახვეწილობას, აქტუალურობას და ორლესური მახვილის ეფექტს, რაიც მას ახასიათებდა ყველა სახელმწიფოებრივი ფორმაციის დროს განვლილი საუკუნის ჟამთა ცვლის მანძილზე.

ბედისა და უბედობის მატიანე იყო და რჩება, ისევე – როგორც ეროვნული პრობლემის მარადიული მცველი და მოდარაჯე: „ეროვნული პრობლემა, ალბათ, ყველაზე რთული, ბოლომდე ჩაუწვდენელი და ბოლომდე ამოუხსნელი პრობლემაა, რამდენადაც ესეც ბუნების საიდუმლოებაა და მისი ამოხსნის მსურველისგან“ საკუთარ სულში შეღწევაა საჭირო, საკუთარი თავის შეცნობა, რის შემდეგაც გაცილებით უკეთესნი და, რაც მთავარია, გაცილებით მეტის შემძლენი ვხდებით: უკეთესნი – თუნდაც იმ თვალსაზრისით, ერთნაირად რომ თანავუგრძნობთ უკვე როგორც ლომის, ისევე პეპლის ტანჯვას; ხოლო მეტის შემძლენი – რამდენადაც არ არსებობს ცოდნაზე უკეთესი იარაღი ნებისმიერი ბრძოლის გადასახდელად“, – ამბობს **ოთარ ჭილაძე** ამ გაზეთში ჯერ კიდევ 1987 წელს გამოქვეყნებულ და საიუბილეო ნომერში გამეორებულ ფილოსოფიურ-ესთეტიკურ ესსეში „სიცოცხლისათვის“.

სწორედ „საკუთარ სულში შეღწევის“ გზით ეროვნული იდენტურობისა და ქვეყნის გმირული ისტორიის დაცვის მაგალითად წარმოგვიდგება **სპარტაკ ქობულიას** ვაჟკაცური ღირსებით დატვირთული წერილი „როცა სიკეთეს ბოროტების დამარცხება უძნელდება“. ექვსი წლის წინათ დაწერილი და გამოქვეყნებული ეს სტატია ყოფილი ხელისუფლების ანტიეროვნული პოლიტიკის წინააღმდეგ თქმული მართალი სიტყვაა. გახსენება იმისა, რომ ნაციონალების აღვირახსნილობის ჟამს იავარქმნილი ეროვნული სიმბოლოების აღდგენა დღეს ხელისუფლებაში მყოფი თაობის ღირსების საქმეა და ვალი.

ნაცების ვანდალიზმის ყველა კვალი უნდა გაქრეს საქართველოს წმინდა მიწიდან. უნდა აღდგეს **ვახტანგ ონიანის** ეროვნული ღირსებით შემკული მონუმენტური ქანდაკება ამირანისა და **მერაბ ბერძენიშვილის** „დავით აღმაშენებელმა“ შესაფერისი ადგილი უნდა დაიმკვიდროს დედაქალაქის ცენტრში.

ბატონი სპარტაკი გვაიმედებს, რომ ეს საქმე აღსრულდება და „ქართველთა უდიდესი მოქანდაკის, ყველა ეპოქის ბეჭდაუდებელი ქართველი რაინდის მერაბ ბერძენიშვილის (ის თავის პუბლიცისტურ შედევრებს მხოლოდ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ბეჭდავდა) საფლავში ჩაყოლილი ოცნება აღსრულდება“.

სერიოზულად უნდა ვიფიქროთ ქუთაისის დიდების მემორიალის აღდგენაზეც!

ეს იქნება იმის დასტური, რომ ქვეყნის ახალი ხელისუფლება ნაციონალების ძალადობას სიკეთით უპირისპირდება და ხალხის ხმას ჯეროვან პატივს მიაგებს“.

**ქვეყნის ისტორიის ეს მნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენს ხელისუფლებაში არავის გახსენებია: არსად არანაირად არ აღუნიშნავს. (SIC!)**

## უნიკუმების გაზეთი

ავტორებზე ვამბობ, ჟურნალისტებზე, ჭეშმარიტ პუბლიცისტებზე, რომლებიც, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, ქართული ჟურნალისტიკის ელიტაა, მეტიც – ეროვნული საგანძურია.

სპარტაკ ქობულიაზე უკვე ვთქვი.

ახლა – სხვებზე.

უპირველესად – **გურამ გოგიაშვილზე,** რომელიც ჩვენი ამქრის უხუცესი და მრავალმხრივ გამორჩეული აქსაკალია. უბადლო მცოდნე ქართულის, ბრწყინვალე ლიტერატორი და მთარგმნელი, რომლის ნაღვაწი არაერთხელ აღნიშნულა საქართველოს მწერალთა კავშირის პრემიებით.

**„წაიკითხე ჩემი ნააზრევი, მკითხველო, უკეთუ ჩემთა სიტყვათა შიგან კმაყოფილებას პოულობ.**

**რამეთუ საეჭვოა, რომ ოდესმე კიდევ დაიბადოს ამქვეყნად ვინმე ჩემი მსგავსი“, – ლეონარდო და ვინჩის ეს სიტყვები წამძღვარებული აქვს აღორძინების ტიტანის გამონათქვამებისა და აფორიზმების კრებულს, რომელიც გურამ გოგიაშვილმა თარგმნა („ქართულად გადმოაენა“)** და „საქართველოს რესპუბლიკის“ საიუბილეო ნომერში გამოაქვეყნა.

წაიკითხეთ და ეზიარეთ საოცრებას, სიბრძნესა და გონიერებას, რაიც ასე აუცილებელია განათლებადაცლილი და ცრულიბერალური პრინციპებით გაპრიმიტივებული და გაბითურებული ჩვენი საზოგადოებრივი აზრის გამოსაფხიზლებლად.

არც ჩვენს ხელისუფლებას აწყენს:

„იცი, რატომ არცრას არა ვწერ წყალქვეშ იმდენხანს გაძლების ჩემს ხერხზე, რამდენ ხანსაც უჭმელი გავძლებდი! არა, ამას სახალხოდ არ განვაცხადებ იმის გამო, რომ **ბოროტი ბუნება აქვთ ადამის შვილთ, რომელთაც ამ ხერხის სხვათა დასახოცად გამოყენება ძალუძთ.“**

**შიმშილით ხალხის დახოცვის ხერხზე ლაპარაკობს, და გამგები გაიგებს, რატომ ამოვარჩიე აქ და ვინჩის ბრძნულ დარიგებათა შორის მაინცდამაინც ეს ერთადერთი.**

„საქართველოს რესპუბლიკა“ არასოდეს იკეტებოდა ქვეყნის საზღვრებში და ყოველთვის ცდილობდა, მსოფლიო კულტურის შედევრები გაეცნო ქართველი მკითხველებისთვის. პუბლიკაცია „ასე ამბობდა ლეონარდო და ვინჩი“ ამის კერძო მაგალითია. ერთ-ერთი მრავალთა შორის.

მივყვები გვერდების თანმიმდევრობას და მივადგები **ალეკო ასლანიშვილის** ნაშრომს „დიდი ბრალდება კარტოფილისა და ქაშაყის თაობაზე, ანუ რა დანაშაულებისთვის დახვრიტეს ლ.პ. ბერია?“ სწორედ რომ ნაშრომს, რომელიც საქართველოს (და საბჭოთა კავშირის) ისტორიაში ურთულესსა და მასშტაბურ პარტიულ-პოლიტიკურ ინტრიგას ე.წ. მეგრელთა საქმეს შეეხება. ბატონი ალეკო, როგორც ერთადერთი თუ არა, პირველი ქართველი ჟურნალისტია, რომელმაც ჯერ კიდევ ოთხმოციანი წლების ბოლოს დაიწყო უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის ამ პრობლემასთან დაკავშირებული გასაიდუმლოებული საარქივო მასალების შესწავლა და გამოსცა კიდეც უაღრესად საინტერესო, ანალიტიკითა და დაკვირვებებით გამორჩეული წიგნი. დაიმკვიდრა მკვლევარი ჟურნალისტის სახელი. სხვა წიგნიც აქვს გამოცემული ქართული ჟურნალისტიკის პრობლემებზე და თავადაც თვალსაჩინო პუბლიცისტია, მრავალპლანიანი და პრინციპული.

## კოლეგების თანადგომა

საიუბილეო ნომერი თავიანთი წერილებით დაამშვენეს ქართული ჟურნალისტიკის თვალსაჩინო წარმომადგენლებმა **არჩილ გოგელიამ** („ყველაფრის სიკვდილი შეიძლება, აზრისა კი არა“); **თეიმურაზ ძორიძემ** („შექსპირის მოტივები ქართულ კანონშემოქმედებაში“); **ოთარ ტურაბელიძემ** („ჰესები ქართველმა ხალხმა უნდა აშენოს“); **ვაჟა დანელიამ** („ათენის ათინათი“); **თენგიზ გაჩეჩილაძემ** („საქართველოს რესპუბლიკაში“ სპორტიც 100 წლისაა“); **ელგუჯა ბერიშვილმა** („არასოდეს ჩამორჩენილა ცხოვრების ფერხულს“); **იოსებ ჭუმბურიძემ** („არ ესმით, თუ არ უნდათ?“).

„მკითხველები ხშირად თავად ვაქვეყნებთ ხოლმე ჩვენს საყვარელ გაზეთში ჩვენს საკუთარ მოსაზრებებს, რაც გაზეთს ნამდვილ სახალხო გამოცემად ხდის. სწორედ მკითხველისა და გაზეთის ორგანულ კავშირში აისახება ამ მიმზიდველი მედიუმის საჭიროება ხალხისთვის, უფრო სწორად, მისი გარდაუვალობა ქვეყნის სწორად განვითარების საქმეში. „საქართველოს რესპუბლიკა“ დღეს იუბილარია. მან ნიჭითა და სიმართლით იარა თავისი დასაბამიდან ამ ღირსშესანიშნავ თარიღამდე. იარა და კიდევ ივლის! დიდხანს და ღირსეულად“, – ასე მიესალმა იუბილარს წლების განმავლობაში აშშ-ში „განათხოვრებული“ და იქიდან „ემის“ პრემიით დაბრუნებული ქართველი ჟურნალისტი ნუგზარ რუხაძე.

საინტერესო წერილები გამოაქვეყნეს: **თამარ შაიშმელაშვილმა** – „დედამიწა ჩვენი სულების გარშემო ბრუნავს“, 2010 წლის 3 ივნისის პუბლიკაცია გოდერძი ჩოხელზე, რომელსაც ლამაზი ლექსით აგვირგვინებს:

**მაშინ ამაღლდა ზეცად**
**თეთრი ღრუბლების მირქმით,**
**დედამ გაუთბო შუბლი**
**ჩუმმეამბორე ნისლით.**
**სევდად უნთია სული**
**ჟამგადამფრენი მერცხლის!**
**ჰა, დედამიწავ, შვილი –**
**გულს დაცემული ცრემლი!**

გაგვახარა **გელა ქოქიაშვილმა** – „მართლაც რა ძალაა ჰამლეტ გონაშვილის ტკბილ ხმაში“: „ჰამლეტ გონაშვილის სიმღერის მოსმენის შემდეგ თქვენ უფრო ჰუმანური, კაცთმოყვარე, კეთილშობილი, მიმტევებელი, სულიერად მდიდარი და ამაღლებული შეიქნებით. ასეთი ზეციური და მაგიური ძალა აქვს დალოცვილ ქართულ სიმღერას“... მის „ურმულსა“ და „ოროველას“ კინოფილმებსა და მასობრივ სანახაობებში იყენებენ, როგორც მისტიკური მოვლენის, ადამიანის ხმის შესაძლებლობის უნიკალურ გამოვლინებას“.

* * *

**P. S. ასეთად დავინახე იუბილარი რედაქციის მიერ წარმოდგენილი რეტროსპექტივა, რომელსაც დააკლდა ჩვენი აწ გარდაცვლილი კოლეგისა და მეგობრის რუსლან რუსიას გამობრწყინება.**

**რუსლანი ის კაცი იყო, რომელმაც ურთულეს ოთხმოცდაათიანებში, როცა პირველად დადგა გაზეთის ყოფნა-არყოფნის საკითხი, მკვეთრად დაეცა გამოცემის ტირაჟი, როცა „საქართველოს რესპუბლიკა“ გასახვევ ქაღალდზე იბეჭდებოდა და არარეგულარულად გამოდიოდა, იკისრა პასუხისმგებლობა, გარისკა და საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების ფასად ცეცხლმოდებული ჩრდილოეთ კავკასიიდან საგაზეთო ქაღალდი ჩამოიტანა.**

**იმ ქაოსიდან!**

**დღეს კვლავ დადგა საკითხი გაზეთის გადარჩენისა.**

**მეორდება ისტორია.**

**„მეგონა სიცოცხლეს ვსწავლობ-მეთქი, თურმე კვდომას ვსწავლობდი“, – ბრძანებდა ლეონარდო და ვინჩი.**



**არმაზ სანებლიძე**

## ცნობისთვის:

ერთი კვირის თავზე, ანუ 2018 წლის 31 ივლისისთვის „საქართველოს რესპუბლიკის“ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხეს:

აკადემიკოსმა ეთერ ქემერტელიძემ – 100 ლარი,
გურამ ახრახაძემ – 200 ლარი,
გურამ სალარაძემ – 100 ლარი.
ჯერჯერობით სულ ესაა!



# ბედაურნი დაიხოცნენ, ვირებს დარჩათ მოედანი

ეს, ამაღელვებელი ფოტო ტექსტით როცა გამოვაქვეყნე, ჩემმა პოსტმა არნახული ინტერესი გამოიწვია. ჯერ პოსტი გავიხსენოთ:

## ერის სიამაყე!!!

**წინა თაობებს ესენი ზრდიდნენ წიგნით და პირადი მაგალითით. ახლანდელი თაობების გაზრდა უნდათ... მარიხუანითა და მწეველის პირადი მაგალითით.**

ქვეყანა ისე შეირყა და შეიშალა, რომ ვერც ასი ავლიპი ზურაბიშვილი უშველის და ვერც ასი (ორი მშენებარეს ნაცვლად) ფსიქო-კლინიკა!

აგერ, პრეზიდენტობის ერთმა კანდიდატმა, თანაც ევროპულად გაზრდილ-განათლებულ-ჩამოყალიბებულმა ქალბატონმა არც კი დამალა, რომ ეწეოდა (მოუწევია)...

დანარჩენები?..

ერმა არჩევანი უნდა გააკეთოს „წიგნსა“ და „მარიხუანას“ შორის. ოფიციალურმა უმაღლესმა(!!!!) სტრუქტურებმა – პარლამენტმა (თავისი ზოზინით) და საკონსტიტუციო სასამართლომ (თავისი ფორმალური მიდგომით) არჩევანი გააკეთეს: მარიხუანამ აჯობა წიგნს, ზნეობას, საქართველოს მომავალს. ჯერჯერობით!!!

შადიმანების დასტას კიდევ რამდენიმე გვარი მიემატა. სამშობლომ უნდა იცოდეს თავისი „გმირების“ და ჭეშმარიტი „პატრიოტების“ ვინაობა. კონკრეტულად!!!

პირადად მე, როგორც ამ მიწა-წყლის შვილს – მოქალაქეს, მამას, ბაბუას, მრცხვენია ამ ქვეყნის მმართველი ძალის, მისი კონსტიტუციური სტრუქტურების, რამეთუ სწორედ მათ, თავიანთი სიბეცით, დანაშაულებრივი გულგრილობით და პოლიტიკური „ოინბაზობით“ მიიყვანეს აქამდე საქმე. საქმე, რაც დააჩქარებს ერის დეგრადაციას და ფიზიკურ განადგურებას.

როგორც ერთმა ჭკვიანმა და სუპერგავლენიანმა ფრანგმა სახელმწიფო მოღვაწემ თქვა, ორი საუკუნის წინ: ეს უფრო მეტია, ვიდრე დანაშაული – ეს შეცდომაა!!!!

## წიგნსა და მარიხუანას შორის „ეროვნულ“ არჩევნებში გაიმარჯვა... მარიხუანამ!

### გვაპატიეთ, დიდო წინაპრებო!“

**ამ პოსტს მოჰყვა გამოხმაურებები – გამოიკვეთა საინტერესო და პრინციპული პოზიციები. თუნდაც:**

**ჟუჟუ ცაგარელი:** თუ კიდევ ფეხზე დგას საქართველო და ინტელექტის, ნიჭის და განვითარების იმედს გვაძლევს მომავალი თაობის ჯანსაღი ერთეულები, მართლა ამ პიროვნებების პოზიტიური სივრციდან მოდის?!

**ავთო წულაძე:** ერმა არჩევანი უნდა გააკეთოს „წიგნსა“ და „მარიხუანას“ შორის“ – ვინ მიუშვებს ერს არჩევანის გასაკეთებლად... ვინ შეაბამს კატას ეჟვანს – კითხვა ეს არის. ამ კომენტარის პასუხი: ნუგზარ ფოფხაძე: ძველი ქუთაისური „ანეკდოტი“, იმდროინდელი, ქუთაისის „ტორპედო“ რომ გრგვინავდა.

„გაჭედილი სტადიონი... ემოციებით სავსე და შეძახილი:

– ხაჟალია, მიდი, ბიჭო, დაარტყი პენალტი! – დავარტყამდი, მარა „სუდია“ არ მიშვებს!

– ვინ კითხავს, ბიჭო, სუდიას!“

ასეა! როცა „სუდია“ არ გიშვებს, უნდა მიხვიდე და დაარტყა... „სუდიას“!:)

**თინა გოლეთიანი-რომანოვა:** ერი არასასურველ ორსულობის სტადიაშია და აბორტის მოლოდინშია სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. ყველანაირი ინტელექტუალური განვითარების რესურსი რატომღაც ამოიწურა, ნიჭი დაიცალა და გაეცალა აზროვნება ერს.

**მურად აბაშიძე:** ჩემი სხეული არის და როგორც მინდა, ისე მოვიქცევი“, თან სარეაბილიტაციო ცენტრები უნდა გაუხსნა.ვის ხარჯზე? სადაა ლოგიკა?

გვაბოლებენ.საცოდავო საქართველო – ვის ვაგულავებთ?

**გალინა ხარებაშვილი:** რიტორიკული კითხვა: არის დღეს საქრთველოში გარემო, სადაც ასეთი ბუმბერაზები დაიბადებიან? და არარიტორიკული შეკითხვა: რატომ? ანუ რატომ ვერ დაიბადებიან? პასუხი არაპოპულარულია, ამიტომ ვერ დავწერ, თუმცა სწორი. ჩვენი უბედურება დღეს სწორედ ეს არის, რომ სიმართლე არაპოპულარულია და სიბრიყვე და გამყიდველობა (ყველაფრისა) პოპულარული.

ჩემთვის, ერთობ საინტერესო და მეტისმეტად მოულოდნელი გახლდათ ეს კომენტარი **მერაბ ღვინაძე:** არ უნდა ჩამებარებინა 88-ში პარტბილეთი...

ჰოდა, მას ვუპასუხე. და ამ პასუხის კიდევ უფრო გასაჯაროებისთვის გავმეორდი საგანგებოდ ამ პოსტით.

**ნუგზარ ფოფხაძე:** არ ჩააბარებდი და შენი აჯობებდა: აღმოჩნდებოდი კომუნისტ მაღალჩინოსნებთან – შევარდნაძესთან, ჩემთან, ვახტანგ გოგუაძესთან (ყოფ.სპიკერი), ვახო რჩეულიშვილთან (ყოფ.ვიცესპიკერი), ჯანსულ ჩარკვიანთან (მწერალთა კავშირის მდივანი, „ცისკრის“, „დროშის“ მთ.რედაქტორი, მანამდე კი, საქართველოს ახალგაზრდულ ორგანიზაციათა კომიტეტის თავმჯდომარე – კომკავშირის „ლევი“ სტრუქტურა); მინისტრ და ყოფ. რაიკომის მდივანთან ნოდარ ვაშაძესთან (ერთ-ერთი კანდიდატის – „ბრწყინვალე დიპლომატის“ მამასთან), ცეკას მაღალჩინოსნებთან – ოთარ ნოდიასთან (სააკაშვილის ყოფილი განათლების მინისტრის გია ნოდიას მამასთან), საკონსტიტუციო სასამართლოს წევრ კოლია შაშკინთან (ავადსახსენებელი შაშკინის, სააკაშვილის „ყველაფრის“, ანუ სამგზის მინისტრის მამასთან), მწერალთა კავშირის ჯერ მდივან, მერე თავმჯდომარე გურამ ფანჯიკიძესთან (ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრის მაიას მამასთან), ახლანდელი დიდუბის, წინათ 1 მაისის რაიაღმასკომის თავმჯდომარე (გამგებელი), შემდგომ საქართველოს მთავრობის წევრის რანგში მყოფ, ერთობ მომხიბვლელ ადამიანთან ნუგზარ გუნცაძესთან (დეპუტატ ელენე ხოშტარიას ბაბუა) და სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის პრორექტორ, კომუნისტ გივი ალასანიასთან (სააკაშვილის ბაბუა, მეორე ბაბუაც „დიდი“ თანამდებობის პირი გახლდათ), ცნობილ საერთაშორისო ჩინოვნიკთან და პარალელურად „კაგებეს“ ოფიცერ, რა თქმა უნდა, სკკპ წევრ თემურ ალასანიასთან (სააკაშვილის ბიძა), კომკავშირის რაიკომის მდივანთან, შემდგომ ალკკ ცეკას მაღალჩინოსანთან, კიდევ შემდგომ შევარდნაძის მინისტრთან მურთაზ ზალკალიანთან (ახლანდელი საგარეოს „საიდანაც ქარი ქროდა“ მინისტრის მამა) და სხვა მართლა „კაი“ ხალხთან ერთად. (თუ საკმარისი არ არის, გავაგრძელებ ჩამოთვლას...).

დიახ, აღმოჩნდებოდი „კრემლის, რუსეთის, კგბ-ს, ფსბ-ს, ეთიოპიის დაზვერვის „აგენტების სიაში“ და, მერე, აქ ჩამოთვლილი რომელიმე პერსონის დემაგოგი შვილი თუ შვილიშვილი ისტერიულად გიკივლებდა „შე, რუსეთუმე ბებერო!..“ და მოაყოლებდა იარლიყ-წოდებას. ისე, გააჩნია, რას გაიმეტებდნენ შენთვის. მე, მაგალითად, „დამაქვეითეს“ ამ უვიცებმა: კაცი ერთ-ერთი პირველი „კრემლის აგენტი“ ვიყავი იმ სიაში, სადაც ამათი დედმამა-ბებია-ბაბუები, ზოგი კრემლის და ზოგი სუკის აგენტებად იყვნენ მოხსენიებულნი და ამ შურიანებმა 87-ე ადგილზე „დამაქვეითეს“ და „გადამაგდეს“. კაცმა ოფლის ღვრით „გენერალ-პოლკოვნიკობას“ მივაღწიე და რიგით „გენერლობამდე“ ჩამომაქვეითეს ამ მართლა უწიგნურმა, მოკრიმინალ-მობიზნესმენო ხარბმა და უმადურმა არამზადებმა!!!!)

ტაში, კუკური!“

პასუხიც მივიღე მოკლე და კონკრეტული: **მერაბ ღვინაძე:** ახლაც მათთან ვარ ბატონო ნუგზარ და უკაცრაული პასუხია „ყურებზე ხახვი არ დამაჭრან“...

თქვენთან ვარ, ჩემო ბატონო მერაბ!!!!

* * *

**P. S. ბევრი, ძალიან ბევრი კომენტარი მოყვა ამ ტექსტს. სინტერესო, დამაფიქრებელი, სალანძღავიც, სასაცილოც და... აი, მაგალითად, ერთი, 1960 წელს დაბადებული, საქმეში მაგრად „ჩახედული და ინფორმირებული“ გორელი ინტერნეტმომხმარებელი წერს, რომ თურმე ეს ხალხი იმიტომ „ჩავუშვი“ რომ... ჩემი გავლენის ორბიტიდან გასულან... კიდევ კარგი ფეისბუქის საკუთარ გვერდზე მხოლოდ(!!!) ჩემი მეგობრებისთვის(!!!) ვწერ და არა ასეთი მოკრეტინ-მოიდიოტო და კლავიატურის მოვაჟკაც-მოცინიკოსი ტიპაჟისთვის.**

**დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ბატონო ოპონენტებო, არვინ მისტირის წარსულს, სავსეს დადებითი და უარყოფითი მოვლენებით. მაგრამ ფაქტია: თითქმის 30-წლიანი ნეგატიური პროპაგანდის შედეგად, ახალ თაობას თითქმის არა აქვს წარმოდგენა იმაზე, თუ რა გარჯით, რა ინტელექტით, რა ძალისხმევით იყო შექმნილი საქართველოს უძლიერესი ინდუსტრიული პოტენციალი, მრავალსახეობითი სოფლის მეურნეობა, რა მიღწევები ქონდა მეცნიერებას, რა დონეზე იყო მრავალსაფეხურიანი განათლების სისტემა, რა სოციალური დაცვა ქონდა მოსახლეობას. ახალ თაობას უჩიჩინებენ, რომ ახლანდელი სიძნელეები და გაჭირვება ჩვეულებრივი მოვლენაა. ობიექტური ანალიზის ყველა ცდა „კაგებეშნიკის“, „კრემლის აგენტის“, „ოკუპანტის მხარდამჭერის“ იარლიყის მიწებებით მთავრდება. რა შედეგი მოიტანა ამ სიბეცემ, ჩანს: დაკარგული ტერიტორიები, მილიონზე მეტი ემიგრანტი, საყოველთაო სიღარიბე, უცხოელებზე გაყიდული ქართული მიწა, რუსეთისთვის „ხონჩით მირთმეული“ სტრატეგიული ინდუსტრიის თითქმის ყველა წამყვანი ობიექტი, განადგურებული მეცნიერების სტრუქტურები, გახლეჩილ-დაპირისპირებული თაობები და სოციალური ჯგუფები... ერთი სიტყვით, კოლაფსამდე დიდი გზა აღარ დარჩა.**

**არა მგონია, ჩემს მეგობრებს(!!!) ეჭვი ეპარებოდეთ იმაში (და ამას მკვეთრად, ხმამაღლა ვაცხადებ), რომ მე არავის ვაქილიკებ (მით უმეტეს გარდაცვლილებს და კიდევ უფრო მით უმეტეს, რომ ზოგიერთ აქ ჩამოთვლილთაგან და არჩამოთვლილთაგანაც არცთუ ურიგო ურთიერთობა მაკავშირებდა, გარეგნულად მაინც); არავის განვსჯი, არ ველაპარაკები ნიშნის მოგებით. უბრალოდ, ცოცხლები რომ იყვნენ, გულწრფელად და ტკივილიანად ვუსაყვედურებდი: არავინ გთხოვთ თუნდაც მორალურ პასუხს თქვენი შვილების პოლიტიკურ ორიენტაციაზე. ეს მათი არჩევანია, მათი უფლება და ყველას თავის არჩეულ გზაზე გაუმარჯოს! მაგრამ... როგორ, რა მაგალითზე და რა პრინციპებით გაზარდეთ ისინი ისე, რომ თქვენ თაობას, მის საქმეებს, თქვენს იმდროინდელ თანამოაზრეებს, პრაქტიკულად თქვენ – საკუთარ მშობლებს „გაფასებენ“ ასეთი დაუფარავი ზიზღით, ასეთი უსაზღვრო ბოღმა-სიძულვილის ენით... აღარაფერს ვამბობ უფროს-უმცროსობის, ნათელ-მირონის, ახლობლობის, მეგობრობის შესახებ.**

დასკვნა მხოლოდ ერთია: ალბათ, არ იყავით გულწრფელნი, მაგრად იყავით გაორებულნი– შინ ერთს ლაპარაკობდით და გარეთ მეორეს, საწინააღმდეგოს, თანაც, გულზე ხელის ბრაგუნით ქვეყნის, კოლეგიალური თუ თანამოაზრეთა წრის სიყვარულის და ერთგულების ფიცით. ამას უპრინციპობა და უზნეობა ეწოდებოდა ყოველთვის და ნორმალურ საზოგადოებაში ახლაც ასე აღიქმება. ამ უზნეო ცხოვრების თქვენეულმა წესმა სწორედ ახლა ამოხეთქა თქვენი შვილების საქმეებსა და რიტორიკაში. და არც თქვენ უნდა გაგიკვირდეთ „ზეციურ საქართველოში“ და არც თქვენ შთამომავლობას, რომ სიცრუის, სიძულვილის, არაობიექტურობის ყველა გამოვლინებას თავად ცხოვრება გასცემს პასუხს რეალობით, მხოლოდ სიმართლით, მხოლოდ ფაქტებით და არა უსაფუძვლო ანგარიშსწორების სულისკვეთებით თუ... ავადმყოფური ბოღვით!!!



**ნუგზარ ფოფხაძე**



## ვანო ჩხიკვაძე

# აგვისტო

გავლებულია ყველგან საზღვარი.
აქეთ – მშიერი, იქით – მაძღარი.
ცოტა მტყუანი, ბევრი მართალი
მიდის ან უკვე გზამართალს არი,
და ნარიყალზე მიედინები
გაჯერებული შხამით, სამსალით.

აისბერგს ისევ წაჰკარი ქიმი –
გიტევს მეკობრე და მოძალაობს,
რომ ჩაიხსილოს მუმლით და მღილით
კავკასიონის თეთრი მარაო.

ესეც აგვისტო –
დაშლილ, ნაწამებ,
სხეულს გიდუნებს –
ბედის მორჩილი,
მავთულხლართების ეკლის ნაწნავით
ათი წელია ხარ გაბოჭილი.

ვერ გთმობს ძველი და მოდის ახალი,
მტერი – კრაზანას გულქვა ნაყარი,
თუ გინდა თავი ლოდებს ახალე,
ლხინი იქა და ჭირი აქ არი.

გაბრუებული ბოღმის თრიაქით,
გამარჯვებული მოდგმა იცინის,
წელში მოხრილი დგას პატრიარქი
დაცოტავებულ ქვეყნის სიმძიმით.

კვლავ სისხლმდინარე ჭრილობებს იხვევ,
იწვი უცეცხლოდ, იწვი უალოდ,
– გაიღე-მეთქი! –
სიყრუის ციხეს,
ირგვლივ როდემდე უნდა ვუაროთ.

როცა ასეთი ზიზღი მძვინვარებს,
დუღს კუპრის ქვაბი –
შხამი გროვდება,
ნუ გაიკვირვებ, რად მეორდება
ლამისყანელის ჩანგის გოდება.

ვის ელოდება ეს ბალდახინი,
რად არ იწრთობი გრდემლზე მახვილო,
– ერო, უენო სოფლის ნახირო! –
დასძახი, თვალი რომ გაახილოს.

გავლებულია ყველგან საზღვარი,
აქეთ დევნილი, იქით დევნილი,
და ჩვენს თვალებში, დარდით ჩამშრალი,
უფლის ცრემლივით ხარ ჩარჩენილი.

დაგანაკუწეს ეკლის ტვიფარით,
ველებზე უცხო ჭანგა ბალახობს.
ქართლი ხელივით ჩრდილს აიფარებს
დედის ცრემლი რომ არ დაგვანახვოს.

ჩქარა, იმედის სხივი აანთე,
ვიდრე თავის წილს მიწა მიხედავს
და გასაგზავნი, ვით ამანათი,
სული სასულეს გადამიკეტავს.

გაიღვიძებენ მიწის ფორები,
აგვისტოს სუსხით ნაამბორები,
შეთრთოლდებიან აქ ნაომრების
დაუშრობელი სისხლის ტბორები.

დაგვასვირინგეს ეს ავტოგრაფი,
მკვლელი მუხლუხი,
ზარბაზნის ტუჩი.
საოცარია, ჩემს სამშობლოში,
თუ ვინმეს უჭირს,
ჩემს ჯილაგს უჭირს.

ჩამსხვრეულია ჟამი – ვიტრაჟი,
თუ გავჩუმდებით, ავის მნდომელი,
კვლავ ძველებურად მოგითარეშებს
უღმერთოების დრო, ულმობელი.

ძველი წაშალონ, ცდილობენ ფიქრებს,
ახალი სლენგის ხავსი მოედოს,
უნდათ, რადგანაც უსმენ და ითმენ –
თან იყომარონ, თან „იპოეტონ.“

გაძარცვეს შენი სიბრძნის მშვენება,
სიტყვა, ემბაზში ჩამონათალი.
ვეღარ გაიგე, რატომ ერევათ
ეშმაკის ბანგში ღვთის სამართალი.

„ჩაკრულოთი“ და ლოცვით ნაქარგო
მშობელო ჩვენი თავდავიწყების,
ღმერთო, რამდენი ფერი დაკარგე,
ღმერთო, რამდენი შანთით იწვები.

გაგწირეს, დაგთმეს, ცხენიც შეკაზმეს,
ძვირად დაგვიჯდა მათი კრუალი.
ნუთუ ვერ შობე (ყალბ დიდებაზე),
კაცი, შენს გამო რომ თქვას უარი.

ნალი გავცვითე,
გული დავღალე,
ქანცგაწყვეტილმა გძებნე ნაგვემი,
დიდხანს ძველი და ვეღარც ახალი,
გზებით, რა ვქნა, რომ ვერ მოგაგენი.

დგას ტრიბუნაზე ნაპატიები,
ვინც უნდა გლეჯდეს ხელით მარწუხებს,
არ შეიძლება, ასე მშიერი,
ქვეყნის პატრონი რომ გადასუქდეს.

წავიდა, გაჰყვა დორბლის შრაპნელი,
დაძრწის – „მესიჯობს“ თუ „მიქაუნთობს“,
ვისაც შეცდომით ჰქვია ქართველი,
ვინც ძალადობას მწვანე აუნთო.

დაგთმო, გაგყიდა, სილა გაიწნა –
ყარს მოღალატე კაცის სახელიც,
სულივით იცი, თუკი გაიხრწნა,
ისე არ ლპება სხვა არაფერი.

ვთქვი – ერუსალიმ, საკეტურები,
ისევ რომ დაგხსნან, ვისი რიგია.
რა გულით გძინავს,
როცა ამკლები
კართან ამდენი ძაღლი გვიზია.

ესეც აგვისტო,
მემატიანე
„ძვირფას“ თარიღებს გვერდით მიუსვამს,
კალენდარზე რომ კუთავს რვიანი,
როგორც ფაკირის ცხვირწინ გიურზა.

თუ არ ვახსენეთ, არ დაფასდება,
შერკინებული ფლიდ და
დაუნ დროს –
წმინდა სახელი, შენს დასახსნელად,
ვინც მონღოლს კუნძზე თავი დაუდო.

ესეც აგვისტო –
ციხევ, უკარო,
კვლავ მოვგროვდებით შენი ობლები,
ოღონდ არ გვკითხო, ჭირისუფალო,
მუხრანის ველზე ვის ველოდებით...

მაინც ოფლით და ღვთით მოწეული,
ძველებურ ეზხში შედის მწიფობა.
წითლად ატამი და ბროწეული
გაღიმებული გადაიპობა.

თუ სული აღდგა, მაშინ სხეულიც
აღდგება-მეთქი!
შენს სახლს – მშვიდობა!

შვების ფიალა დროა, დაცალო,
თუმც კვლავ უჭირავს თვალი მაოხარს,
გიხმობს უფალი –
შენ ხარ ლაზარე,
ადრე თუ გვიან მაინც გამოხვალ.

5.VIII.2018



---

## ISIS-ი საქართველოს ხელისუფლებას ემუქრება

# „...გაბრიელ სალოსის სპეცოპერაცია!!! აქაც დაგვიხოცეთ ძმები ღალატით და მოტყუებით...“

**ISIS-ის ქართული დაჯგუფების მუქარის შემცველ ვიდეოს ავრცელებს, რომელსაც ტელეკომპანია „პალიტრანიუსი“ აქვეყნებს.** ვიდეოს თან ახლავს ქართული ტიტრები, სადაც დაჯგუფება საქართველოს ხელისუფლებას შურისძიებით ემუქრება. „პალიტრანიუსის“ ინფორმაციით, ვიდეო, სავარაუდოდ, 2 კვირის წინათაა დამზადებული.

**„ორი ძმა მოგვიკალით (დაგვიწვით) არაფრის გულისთვის! სულ მალე მიიღებთ ამისთვის სასჯელს, ურჯულოებო! გეშინოდეთ ჩვენი... გაუჩინარებული მაგამედოვი!! დიახ, ჩვენ გვახსოვს ეს ყველაფერი... გაბრიელ სალოსის სპეცოპერაცია!!! აქაც დაგვიხოცეთ ძმები ღალატით და მოტყუებით. ინშა ალლაჰ, ჩვენი მეომრები მზად არიან შურისძიებისთვის“,** – ნათქვამია ვიდეომიმართვაში.



ერთ-ერთი ვერსიით, ტერორიზმის საქმეზე, იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვის ბრალდებით, სუს-ის მიერ დაკავებული საქართველოს მოქალაქე მალხაზ ტ., რომლის აყვანის შესახებ ინფორმაცია გუშინ გავრცელდა, ზემოხსენებულ დაჯგუფებასთანაა კავშირში.

## ტერორისტი თუ ხულიგანი?

**ტერორისტული ორგანიზაციის წევრობისა და ტერორისტულ საქმიანობაში დახმარების ბრალდებით დაკავებული პირისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდებაზე სასამართლო მსჯელობს.**



დაკავებული მალხაზ ტოხოზაშვილია, რომელიც პანკისის ხეობიდან არის, სოფელ ბირჯიანიდან. ტოხოზაშვილი წლებია უკვე თბილისში ცხოვრობს და მუშაობს. სუს-ის ინფორმაციით, მამაკაცი საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე აიყვანეს.

ბინისა და სამსახურის ჩხრეკისას კი სამართალდამცველებმა ელექტრონული ინფორმაციის მატარებელი მოწყობილობები, ასევე „ისლამური სახელმწიფოს“ სიმბოლიკიანი დროშები ამოიღეს.

## „დღეიდან გადავდივარ სათადარიგო გეგმის ამუშავებაზე...“

**დღეს დავრწმუნდი საბოლოოდ, რომ ხელისუფლებამ გადაწყვიტა ჩემი მოშორება,** – ამის შესახებ მოკლული მოზარდის მამა ზაზა სარალიძე „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე წერს. სტრასბურგში ჩაშლილ ვიზიტთან დაკავშირებით, სარალიძე წერს, რომ სუს-მა ის, მალხაზ მაჩალიკაშვილი და ელისო კილაძე ტერორისტებად გამოაცხადა. სარალიძე სათადარიგო გეგმაზე გადასვლას გეგმავს:



**„ახლა ვიქნებოდით გერმანიის მართლმსაჯულების წინაშე წარმდგარი მე,მალხაზ მაჩალიკაშვილი და ელისო კილაძე ტერორიზმის ბრალდებით.**

**როგორც ირკვევა, მალხაზ მაჩალიკაშვილზე გასცა ინფორმაცია ხელისუფლებამ, რომ ის იყო ტერორისტობაში ეჭვმიტანილი და გერმანიის ძალოვნებს მიმართა მის დასაკავებლად.**

**ვინაიდან ჩვენ მალხაზ მაჩალიკაშვილის თანმხლები პირები ვიყავით,მე და ქალბატონი ელისო, ესე იგი ჩვენ მიგვცემდნენ პასუხისგებაში როგორც ტერორისტის თანამოაზრეებს ან კიდევ სხვა რამ, ანუ მსოფლიოს ჩვენ ვერანაირი გზით ვეღარ დავაჯერებდით ჩვენს სიმართლეს და ამით გამანეიტრალებდნენ მეც. მალხაზ მაჩალიკაშვილი, ელისო კილაძე და ზაზა სარალიძე ტერორისტები გაგვხადა ხელისუფლებამ.**

**დღეიდან გადავდივარ მე პირადად სათადარიგო გეგმის ამუშავებაზე. ზაზა სარალიძე განადგურდა 2017 წლის 1 დეკემბერს. მას მეორედ ვეღარ გაანადგურებთ. სანამ პირში სული მიდგას, მანამ ვიბრძოლებ ჩემი შვილის სულის სიწმინდისთვის. ბატონო გომელაურო, ის პიროვნებაც თქვენ გამოგყვებათ უკან, ვისაც მიგზავნიდით ხოლმე მოლაპარაკებებზე, მიუხედავად იმისა, რომ ოჯახის ახლობლად ვთვლიდი დღემდე“,** – წერს ზაზა სარალიძე.

# ასე ამბობდა ლეონარდო და ვინჩი



ქართულად გადმოაენა გურამ გოგიაშვილმა

## შევარდენი და იხვი

სად შუშუტი იხვი და სად ჩაუქი შევარდენიო! — აგრე ფიქრობდა იხვებზე მონადირე მაკვარანცხი შევარდენი, მერე ჩაყვინთა კიდეც წყალში ერთ-ერთი იხვის ჩასანისკარტებლად, მაგრამ ვერც იხვს მისწვდა და ვეღარც წყლიდან ამოვიდა.

ამასობაში კი წყალში საცოდავად მოფართხალე თავისი ჭკუით ჩაუქ შევარდენს იხვმა თავზე გადაუფრინა და ჩამოჰყიყინა:

— მშვიდობით, სვინავ! მე შენს ცაში თავს ისე ვგრძნობ, როგორც წყალში. შენ კი ჩემს ტბაში ამჯერად თუ არ ჩაიხრჩე, სხვიმის ჭკუას მოუხმეო.

## დატყვევებული ბუ

ფრიად მოილხინეს და გაიხარეს შაშვებმა, ბუ გალიაში გამომწყვდეული როს მოიხილეს, ის კი არა, ზოგიერთი თავზე ხელაღებული ისე ახლოს მიდიოდა გალიასთან, რომ რაც შეიძლება მწარედ ჩაენისკარტებინა გუშინდელი მტრისთვის.

მაგრამ მავანს სატყუარად ჰყავდა ბუ გალიაში, რომლის გარშემო ცნობისმოყვარე ფრინველთათვის ფაცერკოდი ჰქონდა დარაწყმული.

სწორედ ამ მახის მსხვერპლნი ხდებოდნენ წინდაუხედავნი, ანუ არა ჟამთამჭვრეტნი.

## მუხლუხი, ანუ ზომა-ზომა მატლი

ფოთოლს მიკრული მუხლუხი, ანუ ზომა-ზომა მატლი, ზეტანაღუნული, თვალს ასეირებდა მწერთა თავშექცევით: ერთნი მღეროდნენ, მეორენი ბუქნას უვლიდნენ, მესამენი ხან ხტოდნენ, ხანაც დაფრინავდნენ, ამას კი მარტო ფორთხვა ძალედვა, თანაც ისე ზანტად და დახანებით, თითქოს ერთი ფოთლიდან მეორეზე გადასვლა დედამიწის გარშემო მოგზაურობა ყოფილიყოს.

თუმცა მალე აბრეშუმის ძაფის ქსოვა ისწავლა და ჭუპრი კოხტა პარკ-სახლში მოექცა.

— ახლა რაღა უნდა მოხდესო? — იკითხა გარე სამყაროს მოწყვეტილმა ჭუპრმა.

— ყველაფერს თავისი დრო აქვსო! — ჩაესმა ახლად ჩაძინებულს. — ცოტაც მოითმინე და ნახავ, რაც მოხდებაო.

როგორც კი გამოეღვიძა, გაკვირვებულმა ჭიამ შენიშნა, რომ გაფრთიანებულიყო და წამისუმალ მოსწყდა ფოთოლს, თხელ ლაჟვარდოვან ნისლს შეერწყა.

## კედარი და სხვა ხეები

ამაყად ტანაყრილი კედარი ქედმაღლურად დასცქეროდა ბაღში დანარჩენ ხეებს და სულ იმათი დაჩრდილვის საცადისში იყო. ერთხელაც მძულვარებაგარეული ხმით მბრძანებლურად ჩამოსძახა თანაბაღელ ხეებს:

— მოაშორეთ მანდედან ეგ თხილია თუ რაღაცაო!

თქმა და ქმნა ერთი იყო, თხილი საღძირამდე ამოაგდეს.

აქაოდა, ერთი ბრძანება გამივიდაო, გაყოყოჩებულმა კედარმა ახალი ბრძანება ჩამოახმიანა:

— სულ მომაშორეთ, რაც ჩემ გარშემო ბეხრეკი მსხლები და ვაშლებიაო.

რა ექნათ, მოაშორეს და სულ შეშად დახერხეს.

მაგრამ გათავხედებულმა კედარმა სულ მეტი და მეტი მოითხოვა, ხე აღარ დაატოვებინა მოუჭრელი და როგორც სრულუფლებიანი მბრძანებელი მარტოდმარტო ყელყელაობდა ბაღში, რომელიც, ერთ დროს თვალწარმტაცი, ნამდვილი საკუნძეთად გადაიქცა.

მაგრამ ერთხელ ანაზდად საშინელი ქარიშხალი ამოგირგილდა. თავგასული კედარი კარგა ხანს უძალიანდებოდა, რაც შეეძლო, ფესვებს ატანდა ძალას, მაგრამ ამხანაგებშემოცლილი ერთი ხე ქარიშხალს რას გაუძლებდა! მალევე სულ მიილეწ-მოილეწა და საცოდავად გალიტაოებულმა ერთი კი დაიკვნესა და შუაზე გადაიმტვრა.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №149-157

## ვაზი და გლეხკაცი

ვაზი პირდაპირ შეჰხაროდა გლეხკაცს, როცა გაზაფხულზე ის ვენახში შევიდა და თითოეულ ძირ ვაზს შვილივით უვლიდა. მალე შესარა კიდეც, არც შეყელვა დაუკლია, არც შეფურჩქნა, არც გასხვლა, ბარსაც ისე ხმარობდა, არა ევნო რა ფესვებისთვის. ვენახმაც ერთიორად დაუფასა გამრჯე გლეხკაცს ზრუნვა და ბარაქიანად მოართვლინა.

რაკი უხვი მოსავალი მშვიდობიანად დააბინავა, გლეხკაცმა ვაზებს შედგმული ჭიგო-სარები სულ ერთიანად დააძრო და შეშად გამოიყენა.

საყრდენგამოცლილმა ვაზმა დიდად იწყინა ეს ამბავი და საწყენიც იყო — მთელი ზამთარი ცივ მიწაზე გართხმულმა გაატარა. ამიტომაც მომავალ წელს ძველებურად აღარ უბარაქნია და ბეცი გლეხკაცი პირში კლერტგამოვლებული დატოვა.

## მთვარე და ხამანწკა

მთვარეზე გამიჯნურებული ხამანწკა გიჟსა ჰგავდა, მოჯადოებულსავით იდგა და სულ იმის ცქერაში იყო.

სადარნოში მჯდარმა ავმუცელა ხამანწკამ შეამჩნია, რომ ყოველთვის, როცა კი მთვარე ღრუბლებიდან გამოცურდებოდა, დოყლაპია ხამანწკა ეგრევე საგდულებს შლიდა დარეტიანებული. ამას ნამდვილად ჩავახრამუნებო, გაიფიქრა კიბორჩხალამ.

და ერთხელ ღამით მარწუხით მარჯვედ ნასროლი კენჭი საგდულებგაშლილ ხამანწკაში შეაგდო, მთვარის შუქის ტრფიალმა რამდენჯერმე აცადა თავისი სადაფის სავანე-სარათის საგდულების ჩაკეცვა, მაგრამ უკვე გვიან იყო — ავად შეგდებულმა კენჭმა ამის საშუალება არ მისცა.

მსგავსი ხვედრი მოელის სუყოველს, ვინც იდუმალ გრძნობათა დაფარვა არ უწყის. სხვათა საიდუმლოზე მონადირე თვალსა და ყურს რა გამოლევს!

## გველური საზრიანობა

ნადავლის ძებნა-ძებნაში მშიერი გველები ტბის პირას მისრიალდნენ. იქვე მოჭყუმპალავე იხვებმა საშიშროება იგრძნეს და უმალ მეორე ნაპირზე გადაფრინდნენ.

პირიდან ლუკმაგამოცლილ ქვემძრომთაც იხვების კვალდაკვალ მეორე ნაპირზე გადაწყვიტეს გადასვლა, მაგრამ ცურვა არც ერთმა არ იცოდა. რა უნდა ექნათ? ბევრი იფიქრეს თუ ცოტა, ერთ-ერთს ეშმაკური აზრი გაუჩნდა: ტივივით შეიკვრნენ და თავმაღლააწეულნი გრძელი კუდების ქნევა-ქნევით შეცურდნენ.

ამ დროს თავზე გადაუფრინათ იხვების გუნდის თავიხვმა და ჩამოჰყიყინა:

— ხედავთ, რა შესძლებია დარაზმულობასა და საზრიანობას! გაერთიანებულ ბოროტებას ყოველგვარი მამაძაღლობა ძალუძს, რათა გადარჩეს და თავისი ბნელი საქმე არ მოიშალოს. არც სიკეთეს აწყენდა ესეგვარი სიმარჯვე და გაბედულებაო.



## ლუმერპა

შუა აზიის უდაბურ მთებში ერთი სასწაული რამ ფრინველი ბინადრობს, გალობით მომაჯადოებლად გალობს, ფრენისას კი თვალს მოგტაცებს და გულსაც თან გაიყოლებს. არც ცასა შინა, არც დედამიწაზედ ეს კაშკაშა ფრინველი ჩრდილს არ აფენს, რამეთუ ის თავისი ბრწყინვალე სხეულით არც ჩრდილს ეხელქვეითება, არც ხრწნას, ხოლო მავანი უკეთუ შეეცდება ამ ბრწყინვალების დაუფლებას და თუნდაც ერთ ნაკრტენს გამოაცლის, ნათელი ეგრევე ჩაბნელდება, გაკადნიერებული ხელმყოფელი კი მაშინვე გაუთვალისჩინოვდება მოშურნეობისგან.

ამ უიშვიათეს ფრინველს ლუმერპა ჰქვია, რაც „გასხივოსნებულს“ ნიშნავს, ის უტყუარ სახელ-დიდებას ემსგავსება, საუკუნეთა ჟამთა სვლაში უხრწნელს. ვერც ვერავინ ოდესმე დააკნინებს და ვერც მიიჩემებს.

## თევზები და სათხეველი

ბადემ, მეთევზენი სათხევლსაც რომ ეძახიან, ერთხელ იმდენი თევზი ამოიყოლა, მებადურთ აღარ იცოდნენ, რა ექნათ. კარგა ბლომად შინაც მიიტანეს და კიდევ უფრო მეტი ბაზარში წაიღეს. საწყალ თევზებს ბევრს გავარვარებულ ტაფებზე შიშხინი ელოდა, ბევრსაც ადუღებულ ქვაბებში სხმარტალი.

აგრე გრძელდებოდა კარგა ხანს, ყოველი იღბლიანი თევზაობის მერმე, სანამ მდინარეში დარჩენილმა თევზებმა პირი არ შეკრეს და სათხევლის განადგურება არ გადაწყვიტეს.

თევზებმა, დიდიან-პატარიანად, ომი გამოუცხადეს სათხეველს, და დათქმულ ჟამს, როს თვალბედითი სათხეველი მძიმედ ჩაეშვა მდინარეში, ყველანი ერთჟამიერად მისცვივდნენ და სულ ქუფთა-ქუფთა დაგლიჯეს.

მეთევზენი კისრებს იფხანდნენ და კარგა ხანს მსჯელობდნენ სათხევლის იდუმალ გაქრობაზე.

## ბელი და ფუტკრები

როგორც კი ძუ დათვი საქმეებზე ბუნაგიდან გავიდა, ბელს სულაც არ მოჰგონებია დედის დარიგება, შინიდან ფეხი არ გაადგაო, და სულ კუნტრუშ-კუნტრუშით მიაშურა ტყეს, რათა პეპლებს გამოჰკიდებოდა.

გზად ბელი ერთ ფუღუროს გადაეყარა, საიდანაც გემრიელი რამ სუნი სცემდა. ფუღუროს ფუტკრების მთელი ჯარი სდარაჯობდა. ნეტავი ასეთს რას სდარაჯობენო, სწორედ ეს აგულისყურებდა ბელს. ჯერ თავისი სველი დრუნჩი შეყო ფუღუროში, მერმე თათიც მიაყოლა და რაღაც თბილი წებოვანი რამ იგრძნო, როს თათი უკან გამოიღო, სულ ერთიანად თაფლიანი ჰქონდა.

ბელს ის იყო უნდა გაელოკა ტკბილი თათი და სიამოვნებისგან თვალები ებლიტებოდა, რომ გამძვინვარებულ ფუტკართა ღრუბელი წამოადგა, რომელთაგან ზოგი ცხვირში შეუძვრა, ზოგი ყურებში და ზოგიც პირში... საშინლად დანესტრილი ბელი ამაოდ იქნევდა თათებს, ფუტკრები კიდევ უფრო დაუნდობლად ნესტრავდნენ. მაშინ კი უკვე იკადრა ბელმა შინისკენ მოკურცხვლა.

დედამ, იცოცხლე, დატუქსა უხეირო ცელქობისთვის, ხოლო მერმე დაკბენილი ადგილები ცივი წყაროს წყლით მოჰბანა.

ის დღე იყო და ბელმა გულის ფიცარზე ამოიკვეთა: ტკბილის გულისთვის მწარის გადახდა მოგიწევსო.



## ჯიქი

პატარა მაიმუნი აღტაცებული ეუბნებოდა დედას, ულამაზესი ძუ ლომი ვნახეო. მაიმუნმა დედამ ტოტები გასწი-გამოსწია და ჯიქი იცნო, ყვითელბეწვიანი, წინწკლებიანი, მსხვერპლის მოლოდინში ნაბულზე მდგარი.

— ეგ ჯიქია, შვილო, — უთხრა დედამ თავის ყუპუზუნას, — მაგან იცის თავისი სილამაზის ფასი და აკი სატყუარადაც იყენებს კიდეც. მაგისი უცხო მშვენებით მოხიბლული რომელი ნადირიც აედევნება, ის უცილობლად განწირულია, ჯიქის ყელის ჩასაკოკლოზინებელი ხდებაო.

იცოდე, შვილო, სილამაზე ხანჟამისად დამღუპველიაო.

(გაგრძელება იქნება)

# აფხაზებს გენშტაბის უფროსად ოსების 2008 წლის ომისდროინდელი „თავდაცვის მინისტრი“ დაუნიშნეს!

**ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსად დაინიშნა ვასილი ლუნევი, რომელსაც 2008 წლის აგვისტოს ომის პერიოდში ცხინვალის რეჟიმის დე ფაქტო თავდაცვის მინისტრის თანამდებობა ეკავა.**

დღეს ლუნევი დე ფაქტო პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბას ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. თავდაცვის მინისტრმა მერაბ ქიშმარიამ წარუდგინა.



აფხაზური და რუსული მხარეები ამ საკადრო გადაწყვეტილებას საქართველოში მიმდინარე სამხედრო წვრთნებსა და ზოგადად ნატო-საქართველოს თანამშრომლობის გაღრმავების საპასუხოდ რუსეთ-აფხაზეთის სამხედრო – ტექნიკური თანამშრომლობის ინტენსიფიკაციის მიზანს უკავშირებენ.

**„თქვენ მიერ შესასრულებელი ამოცანები რუსულ მხარესთან, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებთან, აფხაზეთის ტერიტორიაზე მყოფ რუსულ ქვედანაყოფებთან ურთიერთქმედების გაძლიერების გეგმას უკავშირდება. ჩვენ გავაგრძელებთ რუსეთსა და აფხაზეთს შორის სტრატეგიული სამხედრო თანამშრომლობის განვითარებას“,** – განაცხადა ხაჯიმბამ.

თავის მხრივ ვასილ ლუნევმა აღნიშნა, რომ „ნებისმიერი ქვეყნის თავდაცვის სამინისტროს მთავარი მიზანი მშვიდობის უზრუნველყოფაა და ისიც თავის მთავარ ამოცანას სწორედ ამაში ხედავს“.

ამასთან, ლუნევის თქმით, დღეს დე ფაქტო სამინისტროში გამართულ სხდომაზე მთავარ საკითხად საქართველოში მიმდინარე ნატოს ფართომასშტაბიანი წვრთნები იქნა განხილული.

**„რა თქმა უნდა, ძალის ეს დემონსტრაცია ჩვენგან სათანადო საპასუხო ზომებს მოითხოვს“,** – დასძინა მან და საკითხი მეტად არ დაუკონკრეტებია.

1956 წელს დაბადებული ვასილი ლუნევი შთამომავლობითი სამხედროა, დამთავრებული აქვს რუსეთის რამდენიმე სამხედრო სასწავლებელი, მსახურობდა შორეულ აღმოსავლეთში, ციმბირში, ურალზე. იყო სამხედრო მრჩეველი სირიაში. 2003-2004 წლებში ციმბირის სამხედრო ოლქის არმიის მეთაურის პირველი მოადგილის თანამდებობა ეკავა. 2008 წლის თებერვალში ცხინვალის ოკუპირებული რეგიონის დე ფაქტო თავდაცვის მინისტრად დაინიშნა და ამ თანამდებობას 5-დღიანი ომის პერიოდშიც იკავებდა. რიგი რუსული მედიასაშუალებების ინფორმაციით, 2008 წლის 9-18 აგვისტოს, ფაქტობრივად, სწორედ ლუნევი მეთაურობდა ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის 58-ე არმიას, რომლის ოფიციალური მეთაური, გენერალ-ლეიტენანტი ანატოლი ხრულევი ცხინვალის სიახლოვეს დაიჭრა. 2009 წლის გაზაფხულზე ლუნევი პერმის ოლქის სამხედრო კომისრად დაინიშნა, 2013 წლიდან კი – სამხედრო მრჩევლად ალჟირში.

ვაზიანის სამხედრო აეროდრომზე 1-15 აგვისტოს ჩათვლით, ვაზიანის პოლიგონსა და ნორიოს საწვრთნელ ბაზაზე მრავალეროვნული სამხედრო სწავლება „ღირსეული პარტნიორი 2018“ (Noble Partner) მიმდინარეობს. აღნიშნული სწავლება საქართველოში უკვე მეოთხედ ტარდება.

# ანდრეი კაბისოვს – „გუტონას“ ვერ პოულობენ!

### სამძებრო ღონისძიებები ოსურად: ცხინვალში ეჭვმიტანილების წამება დაიწყო



**ცხინვალში ძალოვნები სცემდნენ და აწამებდნენ ადამიანებს, რომლებსაც, მათი აზრით, დროებითი მოთავსების იზოლატორიდან ანდრეი კაბისოვის ამასწინანდელ გაქცევასთან შეიძლებოდა, ჰქონოდათ კავშირი. ამის შესახებ „ეხო კავკაზას“ დაზარალებულთა ნათესავებმა უამბეს.**

30 ივლისს, ღამის 02:00 საათზე, ციხეში მოთავსებიდან ერთ წელიწადში ცხინვალის ოკუპირებულ რეგიონში ცნობილმა კრიმინალმა ანდრეი კაბისოვმა, მეტსახელად „გუტონმა“ იზოლატორიდან გაქცევა მოახერხა. არსებული ინფორმაციით, მან აგურის კედელი დაშალა და იზოლატორი მშვიდად დატოვა. გაქცეულ პატიმარს კრიმინალურ პოლიციასთან ერთად სპეცრაზმელები ეძებენ.

„ეხო კავკაზას“ ინფორმაციით, გაქცევის დღესვე ძალოვნები შეუვარდნენ კაბისოვის ბიძაშვილ სერგეი ძაგოევს და სტომატოლოგი სამუშაო ადგილზევე სცემეს, რის შემდეგაც დაკითხვაზე გადაიყვანეს, იქ კი შუბლზე იარაღი მიადეს და აიძულებდნენ, ეთქვა, „სად მალავდა კაბისოვს“. როდესაც მიხვდნენ, რომ სტომატოლოგს მომხდართან არანაირი კავშირი არ ჰქონია, ის უბრალოდ გაუშვეს და როგორც ნათესავები აცხადებენ, ის სახლში მკურნალობს.

კიდევ ორი მოქალაქე – ვასილ თედეევი და სერგეი ჩოჩიევი 30 ივლისის საღამოს კაფეში სცემეს, სადაც ისინი მეგობრებთან ერთად ატარებდნენ დროს. როგორც დაზარალებულის ახლობლებმა „ეხო კავკაზას“ უამბეს, კაფეში 30-მდე სპეცრაზმელი შევარდა და ყოველგვარი განმარტების გარეშე მამაკაცებს კონდახებით დაუწყო ცემა.

ტრავმების გამო თედეევმა გონება დაკარგა და საჭირო გახდა მისი საავადმყოფოში გადაყვანა, თუმცა პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შემდეგ ის ჩოჩიევთან ერთად დაკითხვაზე გადაიყვანეს. მას შემდეგ, რაც მათი კავშირი კაბისოვის გაქცევასთან არ დადასტურდა, მამაკაცები უბრალოდ გაუშვეს. ედეევს მრავლობითი ჭრილობები და სხვა სახის დაზიანებები აქვს მიღებული, მათ შორის – თავისა და ზედა კიდურების არეში. ჩოჩიევს კი, რომელმაც საავადმყოფოს მხოლოდ მერე დღეს, 31 ივლისს მიმართა, 2 ნეკნის მოტეხილობა დაუდგინდა და ფილტვი აღმოაჩნდა გახვრეტილი. ამჟამად იგი მკურნალობის კურსს გადის. ძალოვნებმა მამაკაცების ცემის შემდეგ კაფეს თანამშრომლები დააშინეს და აიძულეს, სათვალთვალო კამერების ჩანაწერები წაეშალათ.

იყო სხვა შემთხვევებიც, თუმცა საჩივრით შესაბამისი უწყებისთვის არცერთ შეშინებულ დაზარალებულს არ მიუმართავს.

# ჩინეთმა პირველი ჰიპერხმოვანი თვითმფრინავი წარმატებით გამოსცადა

**ჩინეთში წარმატებით გამოსცადეს პირველი ჰიპერხმოვანი თვითმფრინავი „სინკუნ-2“.**

**„სინკუნ-2“ ეს არის ტალღა, რომელიც იღებს სიხშირეს იმ დარტყმითი ტალღების წყალობით, რომლებიც წარმოიქმნება ხმის ბარიერის გავლის შემდეგ.**

**გამოცდა ჩატარდა ჩინეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. აპარატი ჰაერში იმყოფებოდა 10 წუთის განმავლობაში. ამ ხნის მანძილზე მან განახორციელა რიგი მანევრები 30 კილომეტრის სიმაღლეზე და დაეშვა მონიშნულ ტერიტორიაზე.**

**ცნობილია, რომ მისი შექმნა სამი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. მოწყობილობას შეუძლია, მიაწოდოს ბირთვული იარაღი და გადალახოს ნებისმიერი არსებული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა, მისი მაღალი სიჩქარისა და არაპროგნოზირებადი ტრაექტორიის წყალობით.**

# უკრაინა რუსეთთან სარკინიგზო მიმოსვლას შეწყვეტს?



**უკრაინის ხელისუფლება განიხილავს მოსკოვთან სარკინიგზო მიმოსვლის შეწყვეტის შესაძლებლობას, განაცხადა უკრაინის ინფრასტრუქტურის მინისტრმა ვლადიმირ ომელიანმა.**

**„ჩვენ განვიხილავთ საკითხს მოსკოვთან სარკინიგზო მიმოსვლის შეწყვეტის თაობაზე“, – განაცხადა ომელიანმა ერთ- ერთი გადაცემის ტელეეთერით. მისი სიტყვები TCH-ის ინტერნეტ გვერდზეა გამოქვეყნებული.**



# ჭკვიანი ბავშვი გარემოცვამ ტერორისტად აქცია!

## ბინ ლადენის დედა შვილზე მედიასთან პირველად ყვება

**ოსამა ბინ ლადენის დედამ ალია განემმა შვილზე მედიასთან პირველად ისაუბრა. როგორც დედა იხსენებს, მსოფლიოს ყველაზე ცნობილი ტერორისტი ბავშვობაში ძალიან ჭკვიანი ბიჭი იყო. ალია განემი ოსამა ბინ ლადენის ტერორისტად ქცევაში იმ ადამიანებს ადანაშაულებს, რომლებიც მან უნივერსიტეტში გაიცნო. ამის შესახებ The Guardian-ი წერს.**

**„უნივერსიტეტში ის ხალხმა შეცვალა. სრულიად სხვა ადამიანი გახდა. იქ მან გაიცნო აბდულა აზამი, მუსლიმთა საძმოს წევრი, რომელიც მოგვიანებით საუდის არაბეთიდან გააძევეს და ოსამასთვის, ასე ვთქვათ, სულიერი მრჩეველი გახდა. ის ძალიან კარგი ბავშვი იყო, ვიდრე იდეოლოგიურად არ დაამუშავეს. ამ დროს ოსამა დაახლოებით, 20 წლის იყო. ეს იყო ერთგვარი კულტი. ისინი ბევრ ფულს შოულობდნენ. ყოველთვის ვეუბნებოდი, რომ მათგან თავი შორს დაეჭირა. არასდროს ჩამრთავდა იმაში, რასაც აკეთებდა, რადგან მას ძალიან ვუყვარდი...“ – ყვება დედა.**



**1980-იან წლებში ოსამა ბინ ლადენი ავღანეთში, საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ საბრძოლველად წავიდა. ის ფიქრობდა, რომ ოჯახი მისით იამაყებდა, მაგრამ ყველაფერი საპირისპიროდ მოხდა და ოჯახისთვის არასასიამოვნო სიურპრიზი აღმოჩნდა ის, რომ ბინ ლადენი ჯიჰადისტი გახდა.**

**„ეს გონებაშიც არასდროს გამივლია. ამის გაგებამ ყველა ძალიან აგვაღელვა. არ მინდოდა, რამე მსგავსი მომხდარიყო“ – ამბობს ბინ ლადენის დედა.**

**ბინ ლადენის ძმის აჰმედის თქმით კი, მათ დედას 2011 წლის ტერაქტის შემდეგაც, უკვე 17 წელია, სჯერა, რომ მისი შვილი უდანაშაულოა:**

**„დედას შვილი ძალიან უყვარდა და არასდროს ადანაშაულებს მას. სამაგიეროდ, ადანაშაულებს იმ წრეს, რომელსაც ჩემი ძმა დაუახლოვდა. ის მას მხოლოდ კარგი ბიჭის მხრიდან აღიქვამს, იმ მხრიდან, რომელსაც ჩვენ ყველა ვხედავდით. დედა არასდროს აღიქვამს მას, როგორც ჯიჰადისტს“.**

**აჰმედ ბინ ლადენმა იმაზეც ისაუბრა, თუ როგორ გაიგო და აღიქვა ოჯახმა აშშ-ში მოწყობილ ტერაქტში ოსამა ბინ ლადენის მონაწილეობა. „ეს ძალიან უცნაური შეგრძნება იყო. პირველ 48 საათში ჩვენ გავიგეთ, რომ ეს ოსამამ ჩაიდინა. საშინლად შეგვრცხვა მის გამო. ვიცოდით, რომ ამას საშინელი შედეგები მოჰყვებოდა. მთელი ჩვენი ოჯახი საუდის არაბეთში დაბრუნდა“ – თქვა ბინ ლადენის ძმამ.**

**შეგახსენებთ, რომ ბინ ლადენი 2011 წელს მოკლეს.**

# ბინ ლადენის შვილმა 11 სექტემბრის შეტევის შემსრულებლის ქალიშვილი მოიყვანა ცოლად

**ჰამზა ბინ ლადენმა – ოსამა ბინ ლადენის ვაჟმა, 11 სექტემბრის ტერაქტის მონაწილე და ორგანიზატორის მოჰამედ ატას ქალიშვილი მოიყვანა ცოლად.**

**Guardian-ის ინფორმაციით, ტერორისტის ოჯახის ცნობით, ბინ ლადენის შვილი გეგმავს, შური იძიოს მამამისის გარდაცვალების გამო, რომელიც ამერიკული ოპერაციის ჩატარების შედეგად 7 წლის წინათ პაკისტანში იქნა მოკლული.**

**ჰამზა ბინ ლადენი არის ოსამა ბინ ლადენის სამი ცოლიდან ერთ-ერთის შვილი. ის არაერთხელ გამოვიდა მოწოდებით, დაეწყო ომი აშშ-სთან, დიდ ბრიტანეთთან, საფრანგეთთან და ისრაელთან. მას მიიჩნევენ ამჟამინდელი „ალ-ქაიდას“ ლიდერად.**




ქალდეა
ხალდური ბრინჯაოს სფინქსი
საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეას“ ყოველთვიური გაზეთი
№ 8-16
„ქალდეა“ „QALDEA“ აპრილი 2018 წელი
ს პ ე ც ი ა ლ უ რ ი ნ ო მ ე რ ი

დიჩსეული მამულიშვილი ნანული (ნანა) გუნია – 70

ქალბატონო ნანა! ქრისტე აღსდგა!

მადლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, სიყვარული ღვთისა და მამისა და ზიარება სულისა წმიდისა იყოს თქვენ თანა უკუნისამდე. ამინ!
იხარეთ ორსავ სოფელსა შინა!
უფალი შეეწიოს თქვენს საზოგადოებრივ ღვაწლს ჩვენი მამულისა და დედა ეკლესიის სასარგებლოდ.

ჭყონდიდელი მიტროპოლიტი
აღდგომა ქრისტესი
აბაშა, 2018

უფალი. დედა. სამშობლო

ნანული (ნანა) გუნია – 70

70 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი მწერალი და მეცნიერი ნანული მიხეილის ასული გუნია. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ქალბატონო ნანული!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები მონიწებით მოგესალმებიან სათნოებით და კეთილშობილებით გამორჩეულ შემოქმედს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში - დაბადებიდან 70 წლისთავს.

1956 წელს სრულიად ნორჩს გამოგიქვეყნეთ აბაშის რაიონულმა გაზეთმა „საბჭოთა სოფელმა“ პირველი ლექსი „გიმღერით, ახალო წელო“ და მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები პერიოდულად ქვეყნდება სალიტერატურო და სამეცნიერო პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

თქვენი პოეტური კრებულები „ამაღლებულნი ერისთვის“, „საქართველოს მზეს ვფიცულობთ ქართველნი“, „ჩვენ კვლავაც ერთად დავდგებით“, „იქაც დაგადგეთ ნათელი“, „ღმერთო, ისმინე ჩემი ვედრება“, „სულის ამოძახილი“, „გზა მარადისობის“, „დედის გარეშე განვლილი დღეები“, „უფალი, დედა და სამშობლო“, „მინდა მუდამ შენ გიმღერო, დედა“ ქართველი მკითხველის მოწონებით სარგებლობს. ეს მოწონება კი იმითაა განპირობებული, რომ მათ ავტორს, სინაზითა და სინატიფით გამორჩეულ მანდილოსანს მართლაც რომ გულის ფიცარზე აწერია უფალი, დედა და სამშობლო. ამ ტრიადას ეთაყვანება და მისი ლექსის თითოეული პწკარი სწორედ სამების ერთგულებითა და სიყვარულითაა გაპოხიერებული.

როგორ შეიძლება ცალკე არ აღინიშნოს ლექსების ის ციკლები, რომლებიც დედას მიუძღვენით. ამ ლექსებმა ხომ ყველას კიდევ ერთხელ დაგვანახა, თუ როგორ უფრთხილდებით და ესათუთებით თქვენთვის უძვირფასესი მშობლის ხსოვნას და თანამოქალაქეებსაც ჩინებულ მაგალითს აძლევთ იმისას, თუ როგორ უნდა იცავდნენ უფლის მიერ ნაბოძებ ათ მცნებას...

ჭეშმარიტად მართლმადიდებელი ქრისტიანი ბრძანდებით და რა გასაკვირია, თუ თქვენს მშობლიურ სოფელ მაცხოვრისკარში, აბაშის რაიონში რომ მდებარეობს, თაოსნობდით მაცხოვრის შობის სახელობის ეკლესიის მშენებლობას და 17 წლის განმავლობაში ერთხელაც არ ჩაგიმუხლავთ, სანამ ეკლესიის ზარებმა სრულიად საქართველოს არ ამცნეს ახალი ეკლესიის მოვლინება. სოფელსაც ხომ თქვენი დიდი ძალისხმევით დაუბრუნდა მისი ისტორიული სახელი, მშვენიერი წიგნი უძღვენით ამ მნიშვნელოვან მოვლენებს.

პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი და პროფესორი ბრძანდებით, 50-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის 14 წიგნისა. არჩეული ხართ სრულიად საქართველოს საზოგადოება „კოლხეთის“ პრეზიდიუმის წევრად, საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეას“, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა და ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიების აკადემიკოსად, აბაშის საპატიო მოქალაქედ, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრად.

ქალბატონო ნანული!

კიდევ ერთხელ მიიღეთ ჩვენი დიდი პატივისცემა და სიყვარული, ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოს თქვენი თავი, ბოლომდე დახარჯულიყავით მშობელი ერის სამსახურში.

საქართველოს მწერალთა კავშირი

# „მას გულის ფიცარზე აწერია უფალი, დედა და სამშობლო“

**27 ივლისს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში ჩატარდა ნანა (ნანული) გუნიას 70 წლის იუბილისადმი და ახალი წიგნის „მინდა, შენ გიმღერო, დედა“ გამოსვლასთან დაკავშირებით მიძღვნილი საღამო.**

ღონისძიებას უძღვებოდა აკადემია „ქალდეას“ პრეზიდენტი, პოეტი-აკადემიკოსი ვაჟა ეგრისელი. სიტყვით გამოვიდნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწეები, მწერლები, სასულიერო პირები და პოეტის ნიჭის დამფასებლები — **გურამ გუნავა,** ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი **თეიმურაზ ბაბუნაშვილი,** პოეტები **მიმოზა ცანავა, მზია ჩხეტიანი, ბიეტა აბშილავა, ნანა დარჩიაშვილი,** მწერალი **სერგი საჯაია,** კომპოზიტორი **რუსუდან ხორავა,** აკადემია „ქალდეას“ ვიცე-პრეზიდენტები **ვახტანგ გაჩეჩილაძე, გელოდი ფოცხიშვილი, სერგო წურწუმია,** დეკანოზი **ბასილი — გიზო ახვლედიანი,** დეკანოზი **გიორგი დადუნაშვილი**.

ეს ინფორმაცია შესაძლოა, მედიასივრცეში ჩვეულებრივ ნიუსად მიიღოს მკითხველმა, მაგრამ მათთვის ვინც ქალბატონ ნანას იცნობს, ვინც თუნდაც ერთხელ შეხვედრია მას, ეს ინფორმაცია დიდი სიხარულის მომგვრელია. ნანა გუნიას ახსენებ და თვალწინ წარმოგიდგებათ კოლხი ქალბატონი, სარწმუნოებისა და ძირძველი ტრადიციების ერთგული, ერუდირებული, შესანიშნავი პოეტი, ქველმოქმედი, შვილებზე თავგადაკლული დედა, მეგობრებისა და უზარმაზარი სააxლობლოსთვის იმედი, ათასობით სტუდენტი-ახალგაზრდის აღმზრდელი და გზის გამკვალავი, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირისა და საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეას“ წევრ-აკადემიკოსი, საზოგადო მოღვაწე, სამშობლოზე თავგადადებული ადამიანი. იქნებ, რამე გამოგვრჩა?.. დიახ, მრავალი წიგნისა და სამეცნიერო შრომის ავტორი და რაც მთავარია, ადამიანი, რომელმაც ერთადერთი ქალიშვილის ობლობაში გამზრდელ მშობელ დედას ამაგი არ დაუკარგა, თავის საფიცარ ხატად აქცია და პოეტურ ქმნილებებში გააცოცხლა მისი ხსოვნა.

დედის ხსოვნას ერთი ლოცვა რომ წაუკითხო და ერთი სანთელი დაუნთო მის სულს სასუფეველში მშვიდი დავანება ელისო, ქალბატონმა ნანამ წლეულს თავის საიუბილეო თარიღს დაამთხვია და გამოსცა მშვენიერი სქელტანიანი წიგნი „მინდა, მუდამ შენ გიმღერო, დედა“, რომელშიც დედისადმი მიძღვნილი 505 ლექსია შეტანილი. ერთი ლოცვა და ერთი სანთელი ვახსენე ზემოთ... 505 ლოცვადქცეული ლექსი, 505 სანთლად ანთებული გულიდან ამომავალი წრფელი ლოცვა დედისა.

რამდენიმე წარდგინება-რეცენზიაც დაბეჭდილა მის ახალ-ახალ წიგნებზე, მაგრამ რა შეედრება იმას, რაც აკადემია „ქალდეას“ წევრებმა და ქალბატონი ნანას ღვაწლის დამფასებლებმა საოცარი საჩუქარი გაუკეთეს პოეტს, მეცნიერსა და ქველმოქმედს საიუბილეო დღეებში და გაზეთ „ქალდეას“ მთელი ნომრის მიძღვნით, მართლაც გავვოცდი. სასულიერო პირები, საქართველოს მწერალთა კავშირი, საზოგადოების წარმომადგენლები, სტუდენტები და ახლობლები მთელი გულითა და სულით ულოცავენ ქალბატონს საუბილეო თარიღს.

ამ შესანიშნავ ნომერში მთელი ცხოვრება ხელის გულზე დევს პოეტისა, შემოქმედისა და დედისა. ზოგი გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისს იხსენებს, როდესაც განუკითხაობის, ძმათამკვლელი ომისა და გაჭირვების დროს ქალბატონი ნანა მშობლიურ აბაშაში, სოფელ მაცხოვრისკარში იწყებს ტაძრის მშენებლობას. მართლაც გაბედული ნაბიჯია, დაუჯერებლობის ზღვართან მისული, მაგრამ ფაქტი სახეზეა — მაცხოვრისკარელებს მაცხოვრის შობის სახელობის ეკლესიაში შეუძლიათ ღმერთთან მიახლოება. დგას ტაძარი სიყვარულისა, სათნოებისა და სიმბოლო იმისა, თუ როგორ შეუძლია კოლხ ქალბატონს, თავისი მაგალითით რწმენა ჩაუნერგოს ხალხს, შეარიგოს, ბოროტება დაათრგუნვინოს და ქრისტეს გზას შეუყენოს. ამაგი არ დაუკარგეს მადლიერმა აბაშელებმა და ამ დიდი სიყვარულისა და ქველმოქმედების გამოვლენა აბაშის საპატიო მოქალაქის წოდებით აღუნიშნეს მას. ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისთვის სა-




ქართველოს მწერალთა შემოქმედებითმა კავშირმა ქალბატონ ნანას ნომინაციაში „ღვაწლმოსილი“ გადასცა „თამარიონის ენდალმა“. მწერალთა საძმოს ადრესში ვკითხულობთ: **„ქალბატონი ნანული (ნანა) გუნიას შემოქმედება შეიყვარა ქართველმა მკითხველმა. ეს მოწონება კი იმითაა განპირობებული, რომ მათ ავტორს, სინაზითა და სინატიფით გამორჩეულ მანდილოსანს მართლაც, რომ გულის ფიცარზე აწერია უფალი, დედა და სამშობლო. ამ ტრიადას ეთაყვანება მისი ლექსის თითოეული პწკარი, სწორედ სამების ერთგულებითა და სიყვარულით გაპოხიერებული“.**

ჩვენ, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები სულითა და გულით ვულოცავთ გაზეთის ერთგულ მეგობარსა და ავტორს, შესანიშნავ ქალბატონს ნანული (ნანა) გუნიას საიუბილეო თარიღს. ღმერთმა გაგიორმაგოთ სიყვარულსა და სამშობლოზე რწმენით გატარებული 70 წელი. იცოცხლეთ და იდღეგრძელეთ, ქალბატონო ნანა!

**მამუკა ვაშაკიძე**

## ◎ ახალი ჟურნალი

# „მზიანი ღამე“ აჭარის ლაჟვარდში

ქართულ პერიოდიკას შეემატა ახალი ჟურნალ **„მზიანი ღამე“ (№1),** გამოიცა ბათუმში, ბათუმის ბოტანიკური ბაღის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ისა და კომპლექს „სავანე მზიანი ღამის“ ეგიდით. იდეის ავტორი და შემდგენელია ვეტერანი ჟურნალისტი **ოთარ გაგუა,** რედაქტორი — **ავთანდილ ბერიძე**.

ჟურნალი წელიწადში ერთხელ გამოვა.

„მზიანი ღამე“ მკითხველს აწვდის როგორც ადრე უკვე გამოქვეყნებულ, ასევე საგანგებოდ ჟურნალისთვის დაწერილ წერილებს. როგორც რედაქტორი ა. ბერიძე გვატყობინებს: „რუსთავი-2“-ის სატელევიზიო გამოკითხვა-შოუებისგან განსხვავებით რესპონდენტები გამოხატავენ საკუთარ უკომპრომისო მოსაზრებებს ცალკეული „პოლიტიკოსების“ მიმართ. აფასებენ მიმდინარე მოვლენებს, ფაქტებს. მართალია მათი განწყობა, გამონათქვამები ხშირად მწვავეა და უშეღავათო, მაგრამ არა, ხელოვნური და ვიღაცის მიერ დაკვეთილ-ნაკარნახევი... ჩვენს მიერ სამსჯავროზე გამოტანილი მანკიერება არა მტრობისა და სიძულვილის, არამედ სიკეთისკენ შემობრუნების მცდელობითაა ნაკარნახევი“, — დაასკვნის რედაქტორი.

აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი **როინ მეტრეველი** წერილში „დაკლებულისთვის შემინდეთ“ ძველი ქართული სიტყვის „ქველის მოქმედების“ ძირებს ეძიებს და განმარტავს, როგორც „კეთილმოქმედებას, მოწყალებას, წყალობას“, შემდეგ წარმოგვიდგენს იმ ადამიანებს, რომელთაც თავიანთი შრომით, გამჭრიახობით, ახალ ვითარებასთან სწორი ადაპტაციით მოახერხეს გარკვეული ქონების დაგროვება და მიზნად დაისახეს, დაეხმარონ ქვეყანას, საზოგადოების ცალკეულ წევრებს, ხელი შეუწყონ მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების განვითარებას და საგანგებოდ ჩერდება ქართველ ბიზნესმენზე, საზოგადო მოღვაწეზე, დაუღალავ ქველმოქმედ ბიძინა ივანიშვილის საქმიანობაზე. განსაკუთრებით უსვამს ხაზს მის უშურველ დახმარებას, თანადგომას ქართველი მეცნიერებისადმი, კერძოდ, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისადმი. იგი თავად არის მეცნიერი (ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი), კარგად იცის მეცნიერების ყადრი და ისიც, რომ მეცნიერებას დიდი ყურადღება ესაჭიროება.

არ არსებობს საქართველოს კუთხე, იმისი კულტურული მემკვიდრეობისთვის ბიძინა ივანიშვილს რომ არ მიეხედოს, ასეულობით ტაძრის რესტავრაციას თუ მშენებლობას დაადგა თავი. დიდ სახელად მას და მის ოჯახს წმინდა სამების ტაძრის აგებაც ეყოფა. უნივერსიტეტის პირველი კორპუსის რეაბილიტაცია, ოპერისა და ბალეტის, რუსთაველის სახელობის თეატრების წესრიგში მოყვანა...




სრულიად განსხვავებული თემაა ბიძინა ივანიშვილის დაინტერესება ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ-სოციალური პროცესებით და მისი მომავალით, დიდი ქველმოქმედის პოლიტიკაში მოსვლა. ამ ნაბიჯმა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში გარდამტეხი სასიკეთო გავლენა იქონიაო, — დაასკვნის ბატონი როინი.

**მაკა ძოწენიძე** წერილში „კეისარს კეისრისა“ გვაცნობს არქიტექტორ ვახტანგ დავითაიას სტატიას ქალაქის განაშენიანების შესახებ.

92 წლის **ლიზა ცხოიძე** აჭარელი ქალების სახელით მიმართავს საქართველოს ქალებს, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა, რომ მათი ვალია, შვილები აარიდონ ისეთ ცოდვას, როგორიც მოხდა თბილისში, ხორავას ქუჩაზე, იზრუნონ ქართული ენისა და ჯიშის შენარჩუნებაზე.

ბათუმის საპატიო მოქალაქე, მწერალი, პუბლიცისტი, პროფესორი **რამაზ სურმანიძე** კეთილი სიტყვით მოიხსენიებს, რომ ფილანტროპმა ბიძინა ივანიშვილმა უმძიმეს მდგომარეობაში მყოფ მწერლებს, მეცნიერებს, მსახიობებს, მუსიკოსებს, მხატვრებს და სხვებს სულზე მიუსწრო და, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, გადაარჩინა ისინი. მათთან ერთად გადაარჩინა ქართული კულტურა, მწერლობა და მეცნიერება. აგრეთვე თავის თავზე აიღო დიდი ისტორიული მისია — ქვეყნის ხელმძღვანელობა.

ღალატს ვერ დავარქმევ, მაგრამ მისი გარემოცვიდან ყველამ ვერ გაამართლა, პირველ რიგში, პრეზიდენტმა, რომელიც არა უბრალო ოპონენტად, არამედ მტრად მოეკიდა. სხვათა შეცდომების გამოსწორება ახლა თავად მას უხდება და ღმერთმა ამაშიც გაუმართოს ხელი, — ბრძანებს რ. სურმანიძე.

მკითხველის გულს განსაკუთრებით ხვდება გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ 2016 წლის 30 დეკემბრის ნომრიდან გადაბეჭდილი მუზეუმ „მზიანი ღამის“ მცველის **ოთარ გაგუას** ვრცელი ნარკვევი „იმერული ლეგენდა“. ეს მშვენიერი ჟურნალისტური ნაშრომი ეხება საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ და ბიძინა ივანიშვილის მიერ ბათუმის ბოტანიკური ბაღის — მსოფლიო მნიშვნელობის ამ მწვანე საოცრების გადარჩენას გაჩანაგებისგან.

საყურადღებოა **ნათია** და **ელგუჯა ბასილაძეების, ჯამლეტ ხუხაშვილის,** ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ **თენგიზ მდივანის,** ეკონომიკის აკადემიური დოქტორის **მირიან პაპუნიძის,** ექიმ **მარიამ ლორთქიფანიძის, გვადი დარჯანიას, გოგა ხაინდრავას, ლალი მოროშკინას, კახა მამაცაშვილის,** პენსიონერ **ბერდია გიორგაძის,** ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის **მიხეილ ქავთარიას,** ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორის, პროფესორ **თამარ სირაძის,** ტბელ აბუსერიძის სახელობის უნივერსიტეტის ლექტორ-მასწავლებლის **ია შალამბერიძის, მზია შავაძის,** ინჟინერ **ალექსანდრე გორგაძის,** სამართალდამცოდნე **ლერი კვაჭანტირაძის,** პედაგოგ **ბადრი ჭოლაძის,** გეოლოგების **ედიშერ ბუაჩიძის, მერაბ ანანიაშვილის,** მხატვარ **მერაბ თანდაშვილის, ვახტანგ დემეტრაძის,** ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის პროფესორის, საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიის აკადემიკოსის **რეზო ჯაბნიძის,** აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს „აგროსერვისცენტრის“ აგრონომ-კონსულტანტის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორის **ნუგზარ ოქროპირიძის,** ისტორიკოს **თემურ სხირტლაძის** წერილები.

გამოქვეყნებული მასალები გიზიდავენ გულწრფელობით, სიმართლით, კარგი ქართულით, სიხისტითაც კი... ერთი სიტყვით, მკითხველს დიდი სიამოვნება ელის.

**ალექსანდრე ავალიშვილი**

◉ რაგბი ჩვენი თამაშია!

# ქვიშაზეც – ელიტაში

**ქვიშის რაგბის ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს კაცთა ნაკრებმა ზედიზედ ხუთი თამაში მოიგო, მაგრამ ფინალი მინიმალური სხვაობით დათმო და ვერცხლის მედლებს დაეუფლა.**

პირველ დღეს ჯგუფურ ეტაპზე მოპოვებული სამი გამარჯვების შემდეგ ბიჭებმა მეოთხედფინალში ლატვიას შანსი არ დაუტოვეს და 11:5 დაამარცხეს.

ნახევარფინალში იტალიასთან, რომელიც ქვიშაში მობურთალი პროფესიონალებით იყო დაკომპლექტებული, მძიმე და დაძაბული ბრძოლა გაიმართა. მეტოქემ პირველი ტაიმი 4:2 მოიგო, თუმცა, ქართველებმა შესვენების შემდეგ წონასწორობა აღადგინეს, უკვე გაწითლებულ დროზე კი გამარჯვების ლელო გაიტანეს - 5:4.



ფინალში მეტოქედ ევროპის მოქმედი ჩემპიონი, მასპინძელი რუსეთი გვერგო. იგი აქაც ორი ბურთით დაწინაურდა, თუმცა, გიორგი ქოპილაშვილის შეგირდებმა წონასწორობა შესვენებამდე აღადგინეს (2:2). დრო რომ გაწითლდა, ანგარიში 3:3 იყო. სწორედ ამ დროს ჩრდილოელებმა ლელოს გატანა მოახერხეს და 4:3 იმარჯვეს.

გოგონებმა მე-5 ადგილისთვის ბრძოლაში სლოვენიას თითო ტაიმში 4-4 ლელო გაუტანეს და ჯამში 8:0 იმარჯვეს. გადამწყვეტ შეხვედრაში საქართველო ავსტრიასთან 3 ლელოთი ჩამორჩა, მეორე ტაიმში სამი ლელო თავადაც გაიტანა, მაგრამ ამდენივე მიიღო (3:6) და მე-6 ადგილს დასჯერდა.

**კობა კობახიძე**

◉ ლეგენდა

# რატომაც არა

**მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, ამერიკელი ვინუს უილიამსი ტოკიოს ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობაზე ფიქრობს. 38 წლის ამერიკელის ოლიმპიური გამოცდილება 4 თამაშებისგან შედგება.**

მათ შორისაა სიდნეი-2000, სადაც ერთეულთა და წყვილთა თანრიგში ოქროს მედლები მოიპოვა წყვილებში იზეიმა ჩემპიონობა პეკინსა (2008) და ლონდონში (2012), რიო დე ჟანეიროში (2016) კი შერეულ წყვილებში გახდა ვერცხლის მედალოსანი. ვინუსი წყვილებში მიღწეულ წარმატებებს უმცროს დასთან სერენასთან იყოფს, შერეულში კი – რაჯივ რამთან.

„ჩემი ამოცანაა კიდევ ერთ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა. ოლიმპიადებზე არაერთი შესაძლებლობა მქონდა და ეს უდიდესი გამოცდილებაა. დიდი იმედი მაქვს, რომ ტოკიოში მოვხვდები. მართალია, იმ დროისთვის 40 წლისა ვიქნები, მაგრამ ჩემი შემხედვარე, ამას ვერ იტყვით,“ – ამბობს ვინუსი.

**ვიტალი ჯაფარიძე**



◉ 64

# თბილისში ფეხადგმული დიდოსტატი

**თანამედროვეობის ერთ-ერთმა თვალსაჩინო საჭადრაკო კომპოზიტორმა, პირველმა საერთაშორისო დიდოსტატმა ეტიუდების შედგენაში (1972) ჰენრიხ კარპარიანმა (1910-1995) ფეხი თბილისში აიდგა, აქვე ეზიარა საჭადრაკო სიბრძნის საიდუმლოებებს და ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი თავის აღმზრდელ ქალაქში გაატარა. იგი ჭადრაკში სამგზის თბილისის და ეტიუდების შედგენაში ექვსგზის სსრ კავშირის ჩემპიონი გახლდათ.**

1928 წლიდან კასპარიანმა შეადგინა 400-მდე ეტიუდი, ამათგან 240-მა პრიზები დაიმსახურა, მათ შორის 70 პირველი პრიზით დაჯილდოვდა.

ბუნებით მომადლებული „ვირტუოზული ტექნიკა, ანალიტიკური ნიჭი და არაორდინარული ხედვა შესაძლებლობებს უქმნიდნენ კასპარიანს რთული პოზიციების წარმატებით განხორციელებაში“. ასეთი კომენტარი გაუკეთა დიდოსტატმა იური ავერბახმა ჰენრიხ კასპარიანის საკომპოზიციო შემოქმედებას.

**„შახმატი ვ სსრ“**
**(1939)**
**I პრიზი**



**მოგება**

1. კg5! b3 2. ეd2+ მფa1 3. f7 ე:g5
4. f8ლ ეg1+ 5. ეd1 ეg2 6. ლa3+ ეa2
7. ეd2! ე:a3 8. ეb2 ეa2 9. ეb1X

**შენიშვნა: ალექსანდრ პეტროვი (1794-1867) კომპოზიციის პირველი რუსი ოსტატი.**

**ა. პეტროვის კონკურსი-მემორიალი (1975)**
**I პრიზი**



**ყაიმი**

1. მფb5+! მფh7 2. კb1+ მფh8 3. კc5 ეf7
4. კg6 მd6+ 5. მფa4! ეd7 6. f7! მ:f7
7. კd4+ მfe5 8. კf5 ეg7 9. მფa3 მe3
10. მფa4! მec4 11. კe6 მb2+ 12. მფa3 მbd3
13. კf5 მc4+ 14. მფa4! მde5 15. კe6 მb2+
16. მფa3!

**და პოზიციური ყაიმი**

**მოამზადა თამაზ შენგელიამ**

# საფეხბურთო მოზაიკა



**საქართველოს ეროვნული ნაკრების და „სან ხოსეს“ შემტევმა ვაკო ყაზაიშვილმა „დალასთან“ მოგებულ (3:1) შეხვედრაში დუბლი შეასრულა. 25 წლის ფეხბურთელმა მატჩში ანგარიში მე-19 წუთზე გახსნა, ხოლო 88-ე წუთზე საბოლოო ანგარიში დააფიქსირა. ტეხასელებთან შეხვედრაში 90 წუთი ითამაშა საქართველოს ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა გურამ კაშიამ, რომელმაც ყვითელი ბარათი 74-ე წუთზე მიიღო.**

ბოლოს „სან ხოსემ“ 12 მაისს „მინესოტასთან“ გაიმარჯვა და მას შემდეგ გუნდმა MLS-ში სამი ქული პირველად მოიპოვა. „დალასი“ დასავლეთ კონფერენციის ლიდერია და შინ აუტსაიდერთან წაგებას არავინ ელოდა.

აღნიშნული ჩემპიონატის მიმდინარე სეზონში ყაზაიშვილმა 22 მატჩი ჩაატარა და თავი ექვსი გოლით გამოიჩინა. ვაკომ ასევე სამი საგოლე გადაცემა შეასრულა, გურამ კაშია კი გუნდს ივლისში შეუერთდა და უკვე ოთხი მატჩი ჩაატარა.

* * *

**მიმდინარე სეზონში ვაკო გვილია ძირითად შემადგენლობაში პირველად გამოჩნდა და „ლუცერნმა“ პირველი გამარჯვებაც მიითვალა. შვეიცარიის სუპერლიგის მესამე ტურში ქართველი ფეხბურთელის გუნდმა „ლუგანო“ 4:2 დაამარცხა და ამ მატჩის გმირი პასკალ შურპფი იყო, რომელმაც დუბლიც შეასრულა და საგოლე პასიც გააკეთა.**

ვაკო გვილია ძირითადში რენე ვეილერმა პირველად ათამაშა. ჩვენებური მინდორზე 71 წუთის განმავლობაში იყო



და მერე შეცვალეს, „ლუცერნს“ კი სამი ტურის შემდეგ სამი ქულით მეშვიდე ადგილი უკავია.

* * *

**ტონი კროოსი გერმანიის წლის საუკეთესო ფეხბურთელია. აღნიშნულ ინფორმაციას Kicker-ი ავრცელებს. გამოკითხვაში სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის წევრები მონაწილეობდნენ და ხმების უმრავლესობა, კერძოდ, 185 ხმა „რეალის“ ნახევარმცველმა მიიღო.**

მეორე ადგილზე ნილს პეტერსენი („ფრაიბურგი“, 39 ხმა), ხოლო მესამეზე ნალდო („შალკე“, 38 ხმა) გავიდნენ. აღსანიშნავია, რომ ერთი წლის წინათ კროოსი მეორე ადგილს დასჯერდა, რადგან მაშინ ფილიპ ლამმა გაიმარჯვა.

წლის საუკეთესო მწვრთნელის წოდება იუპ ჰაინკესმა მოიპოვა. 73 წლის სპეციალისტს 91 ხმა ერგო და მცირედით გაუსწრო „შალკეს“ დამრიგებელ დომენიკო ტედესკოს – 89 ხმა.

მესამე პოზიციაზე „ბაიერნის“ ამჟამინდელი თავკაცი ნიკო კოვაჩი გავიდა 77 ხმით. ხორვატმა გასულ სეზონში



ფრანკფურტის „აინტრახტს“ გერმანიის თასი მოაგებინა.

აქვე გეტყვით, რომ შარშან გერმანიის საუკეთესო მწვრთნელის ტიტული იულიან ნაგელსმანმა მოიპოვა.

* * *



**ლეგენდარული პაოლო მალდინი „მილანში“ დაბრუნდა. აღნიშნულ ინფორმაციას „როსონერის“ ვებგვერდი ოფიციალურად ადასტურებს. 50 წლის იტალიელი მშობლიურ გუნდში სპორტის სტრატეგიული განვითარების დირექტორად იმუშავებს.**

„პაოლო მალდინი კლუბის სპორტის სტრატეგიული განვითარების ახალი დირექტორია. პაოლო ჩვენი ლეგენდაა, რომელმაც აჩვენა განსაკუთრებული ნიჭი, კლასი და ლიდერობა, რომელსაც ვერავინ გაუტოლდა. ეს თვისებები დაგვეხმარება, რომ დავბრუნდეთ იქ, სადაც ყოფნასაც „მილანი“ იმსახურებს“, – ნათქვამია ოფიციალურ განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ პაოლო მალდინის კარიერის განმავლობაში მხოლოდ „მილანის“ რიგებში უთამაშია, რომლის ღირსება 1985-2009 წლებში 902 შეხვედრაში დაიცვა და 33 გოლის გატანა შეძლო.

**გიორგი შოთაძე**

◉ ინტერნეტიდან

# არ სჯერა და...



**ყველა აღიარებს, რომ მრავალი პრობლემის მიუხედავად, იტალიის საფეხბურთო კლუბ "მილანში" სიტუაცია მაინც დადებითისკენ შეიცვალა და ამ კლუბს გამოცოცხლებაც ეტყობა. თუმცა, ამ ერთი შეხედვით თვალნათელ რეალობას მილანური კლუბის ყველა ცნობილი ქომაგი როდი აღიარებს...**

ლეგენდარული იტალიელი პორნოვარსკვლავი და ყოფილი პარლამენტარი ჩიჩოლინა ათწლეულებია „მილანის“ ტიფოზად რაცხს თავს და იყო დრო, როდესაც ამ კლუბის ერთ-ერთ მმართველადაც კი ითვლებოდა. ეს ათას ტრიბუნაზე ნაჯდომი ქალი ამბობს, რომ ახალი ხელმძღვანელობის პირობებში „მილანისთვის“ სასიკეთო ბევრი არაფერი გაკეთებულა და თუკი რამე კეთდება, ყველაფერი ბლეფია.

თუკი გავიხსენებთ იმას, რომ ჩიჩოლინა იტალიის ყოფილი პრემიერ-მინისტრის და „მილანის“ ასევე ყოფილი მფლობელის სილვიო ბერლუსკონის დიდი მეგობარია და პარლამენტარობაც სწორედ დონ სილვიომ უბოძა, ადვილად მივხვდებით რა „ნესტრითაცაა ნაჩხვლეტი“ ჩიჩოლინა და რატომაც არ მოსწონს მილანური გუნდის ახალი მეპატრონეები. ისე კი მართალსა და მტყუანს მომავალ სეზონში შავ-წითელთა მიერ ნაჩვენები შედეგები წარმოაჩენს.

**როსტომ რაჭველიშვილი**

მხარე

# ვერტყვიჭალის სკოლაში ყველას კალათბურთელობა უნდა

**ვერტყვიჭალა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ფუძეძლიერი სოფელია. სოფლის სკოლის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი მუდამ იმის ძიებაშია, თუ როგორ შეუქმნას პირობები თითეულ მოსწავლეს, იყოს წარმატებული სპორტსმენი, ხელოვანი თუ ინჟინერი...**

ამ წერილის დაწერა ვერტყვიჭალელი კალათბურთელი გოგონების ბოლოდროინდელმა წარმატებებმა გადამაწყვეტინა. 2018 წლის 22 ივნისი ხარაგაულის სპორტის და ვერტყვიჭალის სკოლის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერება, მათ ხომ ამ დღეს იმერეთის რეგიონული ჩემპიონატის ფინალურ მატჩში ქუთაისის გუნდი თავისსავე დარბაზში 80:69 დაამარცხეს.



ყველაფერი კი ასე დაიწყო: 2010 წლის თებერვალში ამ სტრიქონების ავტორი სამსახურებრივი საქმიანობით სოფელ ბორითის სკოლაში სამატჩო ამხანაგურ მატჩს ვატარებდი. შეხვედრის შემდეგ ერთ-ერთმა პედაგოგმა ვერტყვიჭალის სკოლის დირექტორის ქ-ნ ლენა აბაშიძის სპორტისადმი გამორჩეულ მზრუნველობაზე ისაუბრა... რა მომასვენებდა, სანამ ამ სკოლას და მის წინამძღოლს საქმეში არ ვნახავდი.

სკოლაში არსებულმა გარემომ სასიამოვნოდ გამაკვირვა, ხოლო სკოლის დირექტორთან შეხვედრამ შთაბეჭდილება გამიორმაგა. იმ პერიოდში თბილისში ბავშვთა საკალათბურთო ლიგის ჩემპიონატი ტარდებოდა მაშინ ვერტყვიჭალელი გოგონები პირველად წარვადგინეთ დიდ კალათბურთში. ისიც კარგად ვიცოდი, რომ ამ ჩემპიონატში მონაწილეობა გარკვეულ თანხებთან იყო დაკავშირებული. სწორედ აქ გამოჩნდა სკოლის დირექტორის საქმისადმი ჯანსაღი დამოკიდებულება, მან ფინანსური საკითხები უმტკივნეულოდ გადაჭრა მუნიციპალიტეტის მაშინდელ ხელმძღვანელობასთან. სადებიუტო მატჩი რუსთავის ძლიერ გუნდთან ვერტყვიჭალელთა გამარჯვებით დამთავრდა. გუნდმა ირწმუნა თავისი ძალა და უკვე მომდევნო წელს, უმცროსი ასაკის გოგონათა გუნდით ვესტუმრეთ თბილისს...

მადლიერებით ვიხსენებ მრავალი თაობის აღმზრდელს, ხარაგაულელ ზურაბ სამხარაძეს, რომელმაც დამწყები კალათბურთელები 20 ახალი ბურთით დააჯილდოვა. ამის შემდეგ იყო წარმატებები სხვადასხვა სახის სახელობით ტურნირებში, სასკოლო და რეგიონულ გათამაშებებში. ვერტყვიჭალელი გოგონების მაგალითი კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ წარმატების მიღწევა ერთი ხელის დაკვრით არ ხდება. ნორჩ სპორტსმენებს წინ მრავალი გამოწვევა ელით, ამიტომ გულმოდგინედ მეცადინეობენ ნუგზარ კაპანაძის ხელმძღვანელობით. მეც ხშირი ურთიერთობა მაქვს კალათბურთელებთან და მათ მწვრთნელთან. ვერაფრით ვერ ვიფიქრებდი, ამ სკოლაში გატარებული სამწვრთნელო საქმიანობა ამხელა სიხარულს თუ მომანიჭებდა.

იმერეთის ჩემპიონატში გამარჯვების შემდეგ გუნდი შეხვდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ ნიკოლოზ თოფურიძეს და სპორტის ცენტრის დირექტორს, ბატონ გია ჭიპაშვილს. გუნდის ყველა წევრს გადაეცა სამახსოვრო საჩუქრები. იქვე სასიხარულო ამბავი ამცნეს გუნდის წევრებს, რომ ისინი სამდღიან ექსკურსიაზე უფასოდ დაისვენებდნენ და გაერთობოდნენ.

წარმოგიდგენთ იმ კალათბურთელებს, რომლებიც სხვადასხვა დროს წარმატებით იცავდნენ სკოლისა და რაიონის ღირსებას: შორენა ციცქიშვილი, თამილა, ნინო, შორენა და მარი ბლიაძეები, ნანა და მაკო გოგოლაძეები, ფიქრია ნოზაძე, ნინო კაპანაძე, ნინო ტლაშაძე, ხათუნა და თაკო ლომიძეები, თინიკო და ციცინო მაჭავარიანები, ლონდა და ნათია ლურსმანაშვილები.

წარმატებით დაწყებულ საქმეს ღირსეულად აგრძელებენ ანი ბლიაძე, ქეთი პაქსაშვილი, ნინო ლომიძე, თამარ და ქეთი ინასარიძეები, სალომე, მარიამ, ნინო, ნათია და მაკა გოგოლაძეები, ნია და ანი ტაბატაძეები. ეს ახალგაზრდები ხარაგაულის სპორტულ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ.

კარგი იქნება, თუ ვერტყვიჭალელ კალათბურთელ გოგონათა თამაშს თვალს შეავლებენ საქართველოს კალათბურთის ფედერაციასთან არსებული ქალთა კალათბურთის კავშირის ხელმძღვანელები, მიმაჩნია, რომ მათ შორის საქმიანი ურთიერთობის დამყარება დიდ სარგებელს მოუტანს საქართველოში ქალთა კალათბურთის განვითარებას.

**ბეჟან ჩხეიძე,**
**ხარაგაული.**
**555-41-97-33**

# მუსა ხანგოშვილს პატიმრობა შეეფარდა



**გურჯაანის სასამართლომ მუსა ხანგოშვილს წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. ხანგოშვილს პოლიციის მიმართ წინააღმდეგობის გაწევა და ძალადობა ედება ბრალად. ხანგოშვილი, რომელიც ჩეჩნეთის პრეზიდენტთან რამზან კადიროვთან დაახლოებული პირია, ბრალს არ აღიარებს.**

**დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში მას 5 წლამდე პატიმრობა ემუქრება. მის უდანაშაულობაში დარწმუნებული არიან მისი ოჯახის წევრები.**

სანთელი

# გურამ ბზვანელის გახსენება



**გული მწყდება, რომ ასეთი კაცი ჩვენთან აღარ არის, არადა, როგორ მინდა, რომ სიმღერების — ნუკრია, დამელოდე, ვედრება, ჩავაქრე სანთელი — მსგავსი დღესაც იქმნებოდეს.**

**ფილარმონიის წინ „გეპეის ორკესტრის“ ვარსკვლავის გახსნა ყველაზე მეტად მის გულს გაეხარდებოდა, რადგანაც იქ იზრდებოდა. იგი უყვარდა „გეპეის ჯაზის“ ყველა თაობას.**

**დაე, ყოველდღე ისმოდეს საქართველოში შენი გულში ჩამწვდომი სიმღერები.**

**ნიკოლოზ (ბააკა) მუმლაძე,**
„გეპეის ჯაზის“ წევრი (კონტრაბასი) 1965-70 წწ.
ღირსების ორდენის კავალერი, „ფაზისისა“ და ეროვნული აკადემიების აკადემიკოსი, პროფესორ-გამომგონებელი

# წითელ ხიდსა და სარფში არადეკლარირებული სიგარეტი აღმოაჩინეს

**5 აგვისტოს საბაჟო-გამშვებ პუნქტებში „სარფი“ და „წითელი ხიდი“, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ჯამში, 1940 ღერი, არადეკლარირებული სიგარეტი აღმოაჩინეს. საქართველოს მოქალაქეებს ა.ტ-სა და ჯ.მ-ს, არადეკლარირებული სიგარეტი, ეჭვის საფუძველზე, ფიზიკური და კუთვნილი ავტომანქანის დათვალიერებისას აღმოაჩნდათ.**

**საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-14 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეს ა.ტ-ს, სანქციის სახით, ჩამოერთვა საქონელი და ფულადი ჯარიმა, ათასი ლარის ოდენობით შეეფარდა. ხოლო, კანონდამრღვევ მოქალაქეს ჯ.მ-ს, ჩამოერთვა საქონელი, სატრანსპორტო საშუალება და ფულადი ჯარიმა ათასი ლარის ოდენობით შეეფარდა.**




# ფაროსანა „მოიზიდეს და გაანადგურეს“, თუმცა ბევრგან ვერ მოსპეს!

**ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლასა და თხილის მოსავალზე სრულიად საპირისპირო ინფორმაციები ვრცელდება. ხელისუფლება წარმატებებზე საუბრობს, ოპოზიცია სრულ კრახზე. რეალური სურათი აგვისტოს ბოლოდან ყველასთვის ცნობილი იქნება...**

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნულ სააგენტოში ამბობენ, რომ აზიურ ფაროსანასთან ბრძოლას აქტიურ რეჟიმში აგრძელებენ. დღეის მონაცემებით, დასავლეთ საქართველოში თერმული ნისლის ტექნოლოგიით დამუშავებულია 360 ათასამდე ჰექტარი, სატრაქტორე აგრეგატით — 13 ათასზე მეტი ჰექტარი საყანე ფართობი, „მოიზიდე და გაანადგურე“ სადგურების გამოყენებით (ცივი შესხურებით) — 27 ათასზე მეტი ჰექტარი. მონიტორინგის მიზნით, მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე, ტყის პერიმეტრზე, ბუფერულ ზონებში დამონტაჟებულია 50 ათასამდე „მოიზიდე და გაანადგურე“ სადგური.



საქართველოს თხილის მწარმოებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი გიორგი თოდუა აღნიშნავს, რომ მათ მიერ ჩატარებულ კვლევებში ნათლად ჩანს განსხვავება შეწამლულ და შეუწამლავ ნაკვეთებს შორის.

**„ჩვენ იმ ფერმერებთან შეთანხმებით, რომლებმაც განახორციელეს წამლობა და მოუარეს თხილის ბაღებს, ჩავატარეთ მათი მოსავლის კვლევა, გავარკვიეთ მოსავლის შედეგიანობა, რაოდენობა, ხარისხი. ასევე დათვლილი გვაქვს რაოდენობაც, რომლებსაც არ აქვთ მოვლილი ბაღები — ძალიან დიდი განსხვავებაა ხარისხში და ასევე რაოდენობაში. თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ მომავალი სეზონისთვის ყველა დანარჩენი თხილის მწარმოებელი, რომელიც არ იყო აქტიურად ჩართული თხილის მოვლაში, აბსოლუტური უმრავლესობა მოუვლის თხილს და შედეგიც ექნებათ“,** — დასძინა თოდუამ.

სურსათის ეროვნულ სააგენტოში განმარტავენ, რომ დღეს ფერმერის საშუალო მოსავლიანობა 1 ჰა ფართობზე 800-1000 კგ-ს შეადგენს, თუმცა არსებობს პოტენციალი, რომ ეს მაჩვენებელი 1500-2000 კგ-მდე გაიზარდოს.

გლეხების უმთავრესი საწუხარი კი თხილის წლევანდელი ფასია. დასავლეთ საქართველოში ამჟამად 1 კგ-ის ფასი 2-2,5 ლარის ფარგლებში მერყეობს და ეს მოსავლის აღების წინ საკმაოდ დაბალია. თოდუამ ფერმერებს რჩევით მიმართა, რომ არ აყვნენ გადაუმოწმებელ ინფორმაციას, რადგან თხილის ფასი ჯერ დადგენილი არ არის. სამომავლოდ ფასი უნდა გაიზარდოს.

სულ სხვაგვარ ინფორმაციას ავრცელებენ რეგიონში მოქმედი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები. „ევროპული საქართველოს“ ადგილობრივი ლიდერები და ლანჩხუთის საკრებულოს დეპუტატები ამირან გიგინეიშვილი და ირაკლი მარშანიშვილი ფაროსანას მიერ განადგურებულ მოსავალსა და სოფლებში არსებულ მძიმე სოციალურ ფონზე საუბრობენ.

**„რამდენიმე თვეა, მიმდინარეობს თერმული ნისლით შეწამვლა, რომელიც არის სრულიად უშედეგო. ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლება კი ამ საფრთხეებს ვერ ხედავს. რამდენჯერმე მოვითხოვე საკრებულოს სხდომაზე, რომ აუცილებელია ავიაცია ჩაერთოს ამ ღონისძიებებში, ვუთხარი საკრებულოს თავმჯდომარეს და მერს, რომ ამის თაობაზე ერთობლივი წერილი გაგვეგზავნა, მაგრამ შედეგი ნულია.**

**თხილის 90% უკვე გაფუჭებულია. ხეხილი მთლიანად განადგურებულია, ასევე ბოსტნეულიც და ახლა მისეულია ფაროსანა მანდარინზე და თხილზე. ციტრუსიც და სიმინდიც ისეა, რომ უკვე დაწყებული აქვთ განადგურება.**

**თუ სწორად მოიქცევიან და შეწამლავენ შესაბამისად, შეიძლება, მოსავლის გადარჩენა შეძლონ. თუ არადა, მოსახლეობა ისედაც შიმშილის ზღვარზეა უკვე. 49 მილიონია გამოყოფილი ამ შეწამვლაზე და ფულსაც ტყუილად ფლანგავენ. სოფლები დაიცალა. ისეთი მდგომარეობაა, უკვე ეს ზამთარი და გაზაფხული იქნება მასიური ქურდობების სეზონი, იმიტომ, რომ ხალხი მშიერია დარჩენილი“,** — „გვაფხიზლებს“ მარშანიშვილი.

**ბექა დანელია**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
კოსტავას ქ. №21. 599 79-76-79; 568 82-09-84

# ჩქარა დათვალე, რამდენი გიდევს ჯიბეში?!

ფულის გადათვლას... გუნების გამოსწორება შეუძლია, აცხადებენ ამერიკელი ექიმები.

გარდა ამისა, გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ ეს პროცესი იმუნურ სისტემასაც საგრძნობლად ააქტიურებს. ამასთან, საგულისხმოა ისიც, რომ არანაირი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ ვის ფულს თვლით – საკუთარს თუ სხვისას.



ექსპერიმენტის დროს მოხალისეთა ერთ ჯგუფს კუპიურების, მეორეს კი – უბრალოდ, დაჭრილი ქაღალდების დასტებს ათვლევინებდნენ. შედეგი ასეთი იყო: ისინი, ვინც ფულს ითვლიდნენ, თავს თვითდაჯერებულად და ოპტიმისტურად გრძნობდნენ, კარგ ხასიათზე დგებოდნენ და სისხლში იმუნური უჯრედების შემცველობაც ეზრდებოდათ.

ზოგიერთი მეცნიერის ვარაუდით, ფულის თვლა ადამიანს საკუთარ თვალში წონას მატებს და ძალების რწმენას უმტკიცებს, რაც მთელ ორგანიზმზე დადებითად აისახება.

# ფეხბურთი... ეკზოჩონჩხით

ბრაზილიაში 2014 წელს ფეხბურთში გამართული მსოფლიო ჩემპიონატის გახსნით შეხვედრაზე პირველი დარტყმის უფლება შეზღუდული უნარის მქონე პირს ჯულიანო პინტოს მიანიჭეს, რომელიც ეტლში იჯდა.

ჯულიანოს ხელ-ფეხი სრულიად დადამბლებული აქვს, მაგრამ ნეიროლოგებმა სწორედ ასეთი ადამიანებისთვის შექმნეს ეკზოჩონჩხი, რომელიც აზრის მეშვეობით იმართება!

ჯულიანოს თავზე სპეციალურ ჩაფხუტს ახურავდნენ, რომელიც თავის ტვინიდან გზავნილებს ეკზოჩონჩხის მმართველ კომპიუტერს გადასცემდა. რობოტის ფეხებში ჩადგმული ელექტრონული სქემები საპასუხო გზავნილს უშვებდნენ და ამ გზით დამბლადაცემული კაცი ზედაპირთან კონტაქტს გრძნობდა და მოძრაობებსაც აკონტროლებდა.



მუნდიალის გახსნის ცერემონიაზე ჯულიანო პინტოს ბურთზე პირველი დარტყმის პატივი ერგო, თუმცა კი, ცხადია, ეს ყველაზე მოხდენილი და ძლიერი დარტყმა არ ყოფილა. ჯულიანოს თავისით მხოლოდ 150-200 ნაბიჯის გავლა შეუძლია, მაგრამ, ამის მიუხედავად, ესაა მეცნიერების უდიდესი მიღწევა, ხოლო დამბლადაცემულთათვის კი – „სინათლე გვირაბის ბოლოში".



# ელჭექის საფრთხე

**ბოლო ხანებში დედამიწის მრავალ მხარეში, მათ შორის კავკასიაშიც, გლობალურ დათბობასთან დაკავშირებით, დიდად გახშირდა ელჭექიანი წვიმები, ხშირად საკმაოდ ძლიერი, რაც ადამიანებს გარკვეულ საფრთხეს უქმნის – ქალაქშიც და სოფლადაც. ამდენად, ვფიქრობთ, ურიგო არ იქნება, თუკი ელჭექის დროს მოქცევის გარკვეულ ნორმებს დაიცვათ, რაც თქვენს უსაფრთხოებას უზრუნველყოფს.**

### ბინაში ყოფნისას:

– დახურეთ ფანჯრები;
– გამორთეთ ელექტროხელსაწყოები;
– ნუ გამოიყენებთ ნოუთბუქსა და კომპიუტერს;
– ნუ ილაპარაკებთ ქალაქის ტელეფონით, მობილურის გამოყენება დასაშვებია.



### ქალაქში:

– შესაძლებლობისამებრ ნუ მიუახლოვდებით ელექტროგადამცემ ხაზებს;
– მოერიდეთ ლითონის კონსტრუქციებს;
– თუკი მანქანაში ხართ, ნუ გადმოხვალთ;
– თუ ველოსიპედით ან მოტოციკლეტით მიდიხართ, უნდა გაჩერდეთ, მაგრამ მისგან შორს წასვლა აუცილებელი არ არის – მეხამრიდის როლს შენობები შეასრულებენ.

### ქალაქგარეთ:

– ეცადეთ, მაღალ ხეებს თავი არ შეაფაროთ, მათ შორის ყველაზე სახიფათოა მუხები და ვერხვები. ყველაზე იშვიათად მეხი არყის ხეებსა და ნეკერჩხლებს ეცემა;
– თუკი ველოსიპედით ან მოტოციკლეტით მიდიხართ, გაჩერდით და 30 მეტრით მოსცილდით;
– ნუ მიუახლოვდებით წყალსაცავებს, უსაფრთხო მანძილია 100 მეტრი;
– ტრიალ მინდორში ან მოშიშვლებულ ადგილას უმჯობესია მიწაზე დაწვეთ.

# აქტიური პროცესი აგვისტოში

**ამ თვეში გეოფიზიკური აქტივობების დღეებია 9-11, 14, 17-18, 21-27 და 31 რიცხვები. ამ დროს დიდია ციკლონების, ქარიშხლების, ყველა სახეობის ავარიულობის წარმოშობა, სოციუმში დაძაბულობის მომატება და სეისმოაქტივობის გაძლიერება.**

**11-ში დაძაბულობის საათებია 12-15; შემდეგ: 14 (22-24); 17 (17-19); 18(10-13); 21(13-15); 23(18-20); 26(14-17); 27(16-19); 31(09-11).**

**11 – მთვარისა და მერკურის შეერთება ლომის თანავარსკვლავედში.** მზის დაბნელება, ახალმთვარეობა. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ცვალებადობა. სავარაუდოა საერთო სისუსტე, უძილობა.

**14 – მთვარისა და ვენერას შეერთება სასწორის თანავარსკვლავედში.** ამ დღისთვის დამახასიათებელია სიმსუბუქე ურთიერთობებში, პატიოსნება და ნდობა, ცხოვრებისეულ საკითხთა მოწესრიგება. გამორიცხული არ არის პრობლემების წარმოშობა თირკმლებთან, კუჭქვეშა ჯირკვალთან დაკავშირებით, შაქრიანი დიაბეტის გამძაფრება.

**17 – მთვარისა და იუპიტერის შეერთება მორიელის თანავარსკვლავედში.** სავარაუდოა მოჭარბებული ემოციურობა, აღგზნებადობა, ეჭვიანობა, შიშის შემოტევები. გაუფრთხილდით სწორი ნაწლავის, საშარდე გზების გაღიზიანებას.



**18 – მთვარის პირველი მეოთხედი მშვილდოსნის თანავარსკვლავედში.** მოსალოდნელია ქრონიკულ, ასევე გულისა და ღვიძლის დაავადებათა გამძაფრება. უფრთხილდით საკვებით მოწამვლას, რადიკულიტს.

**21 – მთვარის სატურნთან შეერთება თხის რქის თანავარსკვლავედში.** გამორიცხული არ არის ფიზიკური და სულიერი სისუსტის წარმოშობა, დეპრესია. გამორიცხული არ არის ძვლებისა და სახსრების ტკივილი, ხერხემლის სნეულებათა, აგრეთვე ართროზისა და ართრიტის გამძაფრება.

**23 – მზის გადასვლა ქალწულის ნიშანში, მთვარისა და მარსის შეერთება თხის რქის თანავარსკვლავედში.** ამ დღისთვის დამახასიათებელი იქნება გამბედაობა, მყარი ნებისყოფა, შრომისმოყვარეობა, მოვალეობის გრძნობა და თვითკონტროლი. შესაძლოა ხერხემლის, ძვლების, სახსრების ტრავმები, გაციება.

**26 – ახალმთვარეობა თევზების თანავარსკვლავედში.** სავარაუდოა გონებადაბნეულობის ჩივილები, მოჭარბებული მეოცნებეობა, უყურადღებობა. შესაძლოა, ემოციური გაუწონასწორებლობა, არტერიული წნევის ცვალებადობა.

**27 – მთვარისა და ნეპტუნის შეერთება თევზების თანავარსკვლავედში.** გამორიცხული არ არის ზედმეტი გულმავიწყობა, უყურადღებობა, ფსიქიკურ სნეულებათა გამძაფრება, შეშუპება, კანისა და ალერგიული დაავადებები.

**31 – მთვარის ურანთან შეერთება ვერძის თანავარსკვლავედში.** ამ დღისთვის დამახასიათებელი იქნება ორიგინალური შეხედულებები და აზრები, საზრიანობა და გონებასისხარტე, შესაძლოა, ხორხის, კისრის ტრავმები, ხმის იოგების დაზიანება.


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში"
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22) ს–323
ISSN 2233-3851



ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.



„საქართველოს რესპუბლიკა" შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!


### უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.4484; ევრო - 2.8591;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1822;
100 რუბლი - 3.9028; თურქული ლირა - 0.4995;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4403;
1000 სომხური დრამი - 5.0902.

### ამინდი 7 აგვისტოსთვის

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +17, | დღე +35 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +13, | დღე +31 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +21, | დღე +33 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +16, | დღე +31 |
| თბილისი: | ღამე +22, | დღე +34 |


დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge